

# გურამ ძაგანია



## ქართული ტანვარჯიში

თბილისი - 2025

# გურამ მაგანია

## ქართული ტანვარჯიში

რედაქტორი: ასოცირებული პროფესორი,  
ნინო მაგანია

რეცენზენტები:

1. ტანვარჯიშის ფედერაციის პრეზიდენტი  
კონსტანტინე ლაშხი;
2. ტანვარჯიშის ფედერაციის ვიცე პრეზიდენტი,  
რუსუდან სიხარულიძე
3. პროფესორი,  
მანანა მნათობიშვილი

კორექტორი: ასოცირებული პროფესორი,  
ნესტან ეგეტაშვილი

ღმერთებმა ხალხს  
ორი სახის ხელოვნება  
მისცეს - მუსიკა და  
ტანვარჯიში

პლატონი

# სარჩევი

**შესავალი ----- 6**

**თავი 1. თანამედროვე ტანვარჯიში-----8**

1.1. ტანვარჯიშის ფრანგული სისტემა----- 13

1.2. ტანვარჯიშის შვედური სისტემა ----- 15

1.3. ტანვარჯიშის ჩეხური სისტემა „სოკოლი“ ----- 17

1.4. ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაცია ----- 21

**თავი II. სპორტული ტანვარჯიში ----- 26**

2.1. ტანვარჯიში საქართველოში ----- 27

2.2. ანტონ ლუკეში ----- 28

2.3. გიორგი ეგნატაშვილი ----- 31

2.4. გიორგი ნიკოლაძე ----- 33

2.5. ტანვარჯიში XX საუკუნის პირველ ნახევარში ---- 36

2.6. გაიოზ ბერელაშვილი ----- 42

2.7. გიორგი (გულო) რცხილაძე ----- 46

2.8. გიორგი ბაბილოძე ----- 48

2.9. ალექსანდრე ჯორჯაძე ----- 49

**თავი III. ქართველი ტანმოვარჯიშეები**

**ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებებზე**

**----- 50**

3.1. მედეა (მზია) ჯუღელი -----	52
3.2. სერგო ჯაიანი -----	54
3.3. გალინა შარაბიძე (მინაიჩევა) -----	56
3.4. პაატა შამუგია -----	58
3.5. რუსუდან სიხარულიძე -----	600
3.6. ნინა დრონოვა -----	622
3.7. ვლადიმერ გოგოლაძე -----	644
3.8. ილია გიორგაძე -----	66
3.9. საქართველოს ტანმოვარჯიშეების შედეგები საერთაშორისო ასპარეზზე -----	68

**თავი IV. მხატვრული ტანვარჯიში ----- 70**

4.1. მხატვრული ტანვარჯიში საქართველოში -----	73
4.2. ნელი სალაძე -----	75
4.3. ირინე გაბაშვილი -----	76
4.4. ლალი დოლიძე -----	77
4.5. ელისო ბედოშვილი -----	78
4.6. სალომე ფაჟავა -----	79
4.7. მხატვრულ ტანმოვარჯიშეების შედეგები საერთაშორისო ასპარეზზე -----	81

**თავი V. ბატუტზე ხტომა ----- 82**

5.1. ბატუტზე ხტომა საქართველოში -----	85
5.2. რუსუდან ხოფერია -----	88
5.3. ზაქარია (სოსო) აბრამაშვილი -----	91
5.4. ანა დოლონაძე -----	92
5.5. ლუბა გოლოვინა -----	94

4.6. საქართველოს ბატუტისტების შედეგები საერთაშორისო ასპარეზზე-----	95
<b>თავი VI. სპორტული აკრობატიკა-----</b>	<b>96</b>
6.1. აკრობატიკა საქართველოში-----	101
6.2. ქართული სპორტის ისტორიაში მსოფლიოსა და ევროპის პირველი ჩემპიონები აკრობატიკაში-----	104
6.2.1. მანანა მნათობიშვილი -----	104
6.2.2. მაია შილაკაძე -----	105
6.2.3. ნანა კიკილაშვილი -----	106
6.2.4. ვლადიმერ გურგენიძე -----	107
6.2.5. საქართველოს აკრობატების შედეგები საერთაშორისო ასპარეზზე-----	108
<b>თავი VII. სპორტული აერობიკა -----</b>	<b>110</b>
<b>თავი VIII. პარკური -----</b>	<b>114</b>
<b>ლიტერატურა:-----</b>	<b>119</b>

## შესავალი

ტანვარჯიში სპორტის ერთ-ერთი უძველესი სახეობაა, რომლის აღმოცენებისა და განვითარების ისტორია ანტიკური ხანიდან იღებს სათავეს.

ისე, როგორც სპორტის სხვა სახეობები, ტანვარჯიში მჭიდროდაა დაკავშირებული ხალხის ცხოვრებასთან, მის ისტორიასა და კულტურასთან.

ტანვარჯიშის დამოუკიდებელი ელემენტები და კომპლექსები ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე რომ გაჩნდა და მრავალი საუკუნის განმავლობაში გამოიყენებოდა ადამიანის ფიზიკური განვითარების მიზნით და ძირითადად დაკავშირებული იყო ნადირობასთან და სამხედრო აქტივობებთან, დადასტურებულია ისტორიული, არქეოლოგიური და წერილობითი წყაროებით.

არსებობს ცნობები, რომ დაახლოებით 4000 წლის წინ ჩინეთსა და ინდოეთში სხვადასხვა სახის ვარჯიშები გამოიყენებოდა სამკურნალო მიზნებისათვის. ინდურ და ჩინურ ისტორიულ წყაროებში (ძეგლები, ფრესკები, ნახატები) აღწერილია სხვადასხვა სახის ვარჯიშების სისტემები. ასევე არსებობს ცნობები იმის შესახებ, რომ ძველი ეგვიპტელები, სპარსელები, ასირიელები, რომაელები და ამიერკავკასიის ხალხები ტანვარჯიშულ და აკრობატულ ვარჯიშებს ძალისა და მოქნილობის გავითარებისათვის იყენებდნენ. ტანვარჯიში საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა, როგორც სპეციალურ ფიზიკურ ვარჯიშთა სისტემა და სხეულის წრთობის საშუალება.

ტერმინი „გიმნასტიკა“ პირველად ძველმა ბერძნებმა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-8 საუკუნეში შემოიღეს (ბერძ. gymnastike<gymnazo – ვწვრთნი, ვავარჯიშებ), რომელშიც შედიოდა არა მხოლოდ წმინდა ტანვარჯიშული ელემენტები, არამედ რბენები, ხტომები, ტყორცნები, ჭიდაობა, ფარიკაობა, მუშტი-კრივი.

ბერძნები გიმნასტიკურ ვარჯიშებს განიხილავდნენ როგორც ახალგაზრდების მომზადების ერთ-ერთ საშუალებას, ისე ანტიკური ოლიმპიური თამაშებისთვის ყმაწვილების მოსამზადებელს.

სახელგანთქმული ძველი ბერძენი ექიმი და ფილოსოფოსი, ანტიკური მედიცინის რეფორმატორი – ჰიპოკრატე (პანათენური თამაშების გამარჯვებული ჭიდაობაში, 104 წელი იცოცხლა), ქადაგებდა ტანვარჯიშს, სპორტში მეცადინეობას, წყლითა და მზით წრთობას, სუფთა ჰაერზე გასეირნებებს, ზომიერ კვებას.

ტანვარჯიშმა განსაკუთრებული როლი ითამაშა ძველბერძნულ კულტურაში, რასაც ადასტურებს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი კლასიკური ხანის ბერძენი ფილოსოფოსი, ათენის აკადემიის დამფუძნებელი პლატონის სიტყვები: „**ღმერთებმა ხალხს ორი სახის ხელოვნება მისცეს – მუსიკა და ტანვარჯიში**“.

ძველი ბერძენი ისტორიკოსი, ბიოგრაფი და მწერალი-პლუტარქე კი ტანვარჯიშს უწოდებდა **ცხოვრების მოძრაობით საგანძურს**.



## თავი 1. თანამედროვე ტანვარჯიში



თანამედროვე სპორტული ტანვარჯიშის სამშობლოდ გერმანიაა მიჩნეული, ხოლო მის დამაარსებლად პოლიტიკოსი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე – **ფრიდრიხ ლუდვიგ იანი**, რომელსაც გერმანელები მიიჩნევენ თანამედროვე ტანვარჯიშის „მამად“

**(Turnvater).**

ლუდვიგ იანმა შექმნა "ტიუბინგენური სისტემა" **(Tübinger system)** - ერთგვარი ფიზიკური აღზრდის მეთოდოლოგია, რომელიც მისი პედაგოგიური საქმიანობის განუყოფელი ნაწილი გახდა. ეს სისტემა მიზნად ისახავდა ახალგაზრდების ფიზიკურ, მორალურ და ინტელექტუალურ განვითარებას.

ფრიდრიხ ლუდვიგ იანი სწავლობდა თეოლოგიასა და ფილოსოფიას ჰალეს, გეტინგენისა და გრეიფსვალდის უნივერსიტეტებში. 1806 წლიდან მსახურობდა გერმანიის ჯარში. აქტიურად მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებებში ნაპოლეონის წინააღმდეგ, მეთაურობდა ბატალიონს. ომის დასრულების შემდეგ ბერლინში ტანვარჯიშის სწავლებას დაუბრუნდა.

ნაპოლეონის ომში პრუსიის დამარცხებით ღრმად შეძრწუნებულმა იანმა თავისი ცხოვრების მიზნად დაი-

სახა გერმანელი ხალხის სულიერების ამაღლება ფიზიკური და მორალური ძალების გაძლიერებით. ამ ამოცანის განსახორციელებლად კი მას საუკეთესო საშუალებად ტანვარჯიში მიაჩნდა.

მე-18 საუკუნის ბოლოს და მე-19 საუკუნის დასაწყისში იანმა შეიმუშავა ფიზიკური განვითარების ეროვნული სისტემა და დააარსა სპორტული ტანვარჯიშის პირველი საზოგადოება ევროპაში. 1811 წელს მან გახსნა ტანვარჯიშის პირველი კლუბი, რათა მოემზადებინა ახალგაზრდები განმათავისუფლებელი ბრძოლისთვის. მან შექმნა ტანვარჯიშული იარაღები: რგოლები, ორძელი, დვირი და ტაიჭი.

მომდევნო წელს დააარსა ტანვარჯიშის პირველი სკოლა და თავის სტუდენტ **ერნსტ აიზელენთან** ერთად დაწერა წიგნი, რომელშიც ის ფიზიკურ ვარჯიშებს განიხილავს, როგორც ზოგად-საგანმანათლებლო პროცესისა და პიროვნების განვითარების განუყოფელ ნაწილს. წიგნში მას მოჰყავს მრავალი ტანვარჯიშული ვარჯიშების შესრულების მაგალითები და წესები. ამავე პერიოდიდან დაიწყო ტანვარჯიშის პირველი შეჯიბრებების ჩატარება.

ნაპოლეონთან ომის დასრულების შემდეგ გერმანიაში განვითარებული პოლიტიკური სიტუაციის გამო მოხდა ისე, რომ ლუდვიგ იანი მიიჩნიეს „საშიშ დემაგოგად“ და 1819 წელს დააპატიმრეს. 1820 წელს ის ბერლინში წარსდგა სპეციალური საგამომიებო კომისიის წინაშე, რომლის სხდომაზეც მიიღეს გადაწყვეტილება დაებრუნებინათ

ციხეში და საბოლოო განაჩენს იქ დალოდებოდა. ის სამ წელიწადზე მეტ ხანს ელოდა განაჩენს და 1823 წელს ორწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. მართალია 1825 წელს იანი პატიმრობიდან გაათავისუფლეს, მაგრამ მას აეკრძალა ცხოვრება ბერლინის მახლობლად და გერმანიის იმ ქალაქებში, სადაც არსებობდა უნივერსიტეტი ან გიმნაზია. იგი ქალაქ ფრაიბურგში დასახლდა, თუმცა 1828 წელს იქიდანაც გააძევეს და მხოლოდ 1835 წელს მიიღო უკან დანრუნების ნებართვა.

ამ პერიოდისათვის გერმანიაში გარკვეულწილად შეიცვალა პოლიტიკური ვითარება და იანისადმი დამოკიდებულებაც.

**ფრიდრიხ იანი**, მართალია მოგვიანებით, ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი სიმამაცისთვის 1840 წელს დააჯილდოვეს რკინის ჯვრით. 1848 წლის გაზაფხულზე კი გერმანიის პარლამენტშიც აირჩიეს. მისი ბიუსტი განთავსებულია გერმანული კულტურის გამოჩენილი ისტორიული მოღვაწეების დიდების დარბაზში.

1863 წელს გერმანელმა ტანმოვარჯიშეებმა ლაიფციგში დააარსეს საპენსიო ფონდი ტანვარჯიშის მასწავლებლების, მათი ცოლებისა და შვილებისთვის და ამ ფონდს „**იანის ფონდი**“ ეწოდეს.

აღსანიშნავია, რომ ნაცისტურ გერმანიაში იანს აღიქვამდნენ მესამე რაიხის წინამორბედად და წინასწარმეტყველად.

გერმანელმა ფილოსოფოსმა და პედაგოგმა, ნაციზმის ერთერთმა გამორჩეულმა იდეოლოგმა **ალფრედ ბოიმ-ლერმა**, 1940 წელს გამოაქვეყნა მონოგრაფია „ფრიდრიხ ლუდვიგ იანის ადგილი გერმანული სულის ისტორიაში“ (Friedrich Ludwig Jahns Stellung in der deutschen Geistesgeschichte; 1940), სადაც ის ასაბუთებდა კავშირს ნაციზმისა და იანის იდეებს შორის.

1952 წელს გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ გამოსცა საფოსტო მარკა, რომელზეც გამოსახული იყო ფრიდრიხ იანი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ თანმედროვე გერმანია ითვლება თანამედროვე ტანვარჯიშის სამშობლოდ, **ფრიდრიხ იანი კი ტანვარჯიშის გერმანული სისტემის დამაარსებლად**, რომლის მაგალითზე ევროპის სხვადასხვა ქვეყნებმა დაიწყეს არა მხოლოდ ზოგადი განათლების, არამედ ფიზიკური აღზრდის ეროვნული სისტემების ჩამოყალიბება. ამ მიმართულებით გერმანიის პირველი მიმდევრები იყვნენ **შვედეთი, საფრანგეთი და ჩეხეთი**, რომლებსაც მოგვიანებით ევროპის რამოდენიმე ქვეყანაც შეუერთდა.

გერმანელები უპირატესობას ტანვარჯიშულ იარაღებზე ვარჯიშებს, შვედები კი განსაკუთრებულ უპირატესობას თავისუფალ ვარჯიშებს და შეჯიბრებებს ანიჭებდნენ. ამან განაპირობა ის დაპირისპირება, რომელიც წარმოიშვა გერმანულ და შვედურ ტანვარჯიშულ სკოლებს

შორის, რომელიც მთელი მე-19 საუკუნის განამავლობაში გრძელდებოდა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აღორძინების პერიოდის ევროპაში უკვე ცნობილი იყო ტანვარჯიშის შესახებ.

რენესანსის ეპოქის დიდი ფრანგი მწერალი და ჰუმანისტის **ფრანსუა რაბლეს** (1494-1553) რომანში – „გარგანტუა და პანტაგრუელში“, საუბარია სათავადაზნაურო სკოლებში ფიზიკური აღზრდის ტანვარჯიშულ საშუალებებზე (დერძი, ხარიხა, ბაგირზე ცოცვა, აკრობატული ვარჯიშები).

ანტიკური ტანვარჯიში დაწვრილებით აღწერა იტალიელმა ექიმმა, სპორტული მედიცინის მამად მიჩნეულმა, **ჯერონიმო მერკურიალისმა** (1530-1606). მისი ნაშრომი „ტანვარჯიშის ხელოვნება“ 1569 წელს გამოიცა.

XIX საუკუნის შუა წლებში გამოჩნდა პირველი დახურული სპორტული დარბაზები და იწყება პირველი ოფიციალური შეჯიბრებების ჩატარება.

მოგვიანებით, შეჯიბრებები ტარდებოდა საბერძნეთში, გერმანიაში, ავსტრიაში, იტალიაში, შვედეთსა და ჩეხეთში.

ამავე პერიოდში გერმანული ტანვარჯიშული სისტემების პარალელურად ევროპაში შეიქმნა ორიგინალური ტანვარჯიშული სისტემები: **ფრანგული, შვედური და ჩეხური.**

## 1.1. ტანვარჯიშის ფრანგული სისტემა

ფრანგული ტანვარჯიშული სისტემის სწავლების ორიგინალური მეთოდოლოგიის ავტორად მიიჩნევენ ესპანელ სამხედრო, პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეს, ტანვარჯიშისა და ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთ პიონერს – **ფრანცისკო ამოროსს**.



ამოროსი დაიბადა ესპანეთის არმიის პოლკოვნიკის ოჯახში. სწავლობდა მადრიდის სან-ისიდორის კოლეჯში.

ფრანცისკო ამოროსი 9 წლის ასაკიდან იუნკერად ჩაირიცხეს სამეფო ჯარში. 17 წლიდან მსახურობდა კორდობის პოლკში. 1794 წელს მიიღო კაპიტნის წოდება. მონაწილეობდა პირენეის სამხედრო კამპანიაში. მოგვიანებით გახდა ქვეითი ჯარის პოლკოვნიკი. ესპანეთში იკავებდა არა ერთ უმაღლეს სამთავრობო თანამდებობებს.

1813 წელს ფრანსისკო ამოროსმა დააარსა სამხედრო ტანვარჯიშის სკოლა მადრიდში.

1814 წელს, ნაპოლეონის დამარცხების და ფრანგული ჯარების განდევნის შემდეგ, ამოროსი იძულებული გახდა დაეტოვებინა ესპანეთი და გადასულიყო საფრანგეთში. თავდაპირველად პარიზში ასწავლიდა ტანვარჯიშს.

1819 წელს მან პარიზში მოაწყო „ნორმალური ტანვარჯიშის სამოქალაქო და სამხედრო სკოლა“.

1830 წელს გამოაქვეყნა „ფიზიკური, ტანვარჯიშული და მორალური აღზრდის გზამკვლევი“ და ატლასი, რომელიც მოიცავდა ვარჯიშების 53 ცხრილს. საფრანგეთის განათლების უმაღლესმა საბჭომ განიხილა ამოროსის გზამკვლევი და რეკომენდაცია გაუწია მის გამოცემას და დაავალა ქვეყნის ყველა სკოლის ბიბლიოთეკებს შეეძინათ ის.

1832 წელს ამოროსმა საკუთარი ხარჯებით გახსნა გიმნაზია პარიზში. ის თვლიდა, რომ ტანვარჯიშის მიზანი იყო ჯანმრთელობის გაუმჯობესება, სიცოცხლის გახანგრძლივება როგორც ცალკეული მოქალაქეების, ისე მთლიანად საზოგადოების.

ამოროსის ტანვარჯიშის სისტემა ეფუძნებოდა ინგლისელი მოაზროვნის ჯონ ლოკის, ფრანგი კომპოზიტორის, ფილოსოფოსისა და განმანათლებლის ჟან ჟაკ რუსოსა და შვეიცარიელი პედაგოგის იოჰან ჰაინრიხ პესტალოცის იდეებს.

ფრანგული ტანვარჯიშული სისტემის განვითარებას ხელი შეუწყო ფრანგი ახალგაზრდების აქტიურმა დამოკიდებულებამ სამხედრო ფიზიკური მომზადებისადმი. ახალგაზრდული სპორტული გუნდების წევრები ვარჯიშობდნენ ტანვარჯიშში, მონაწილეობდნენ ტურისტულ ლაშქრობებში და გასამხედროებულ თამაშებში, რომლის დახმარებითაც მათ უვითარდებათ კუნთური ძალა, გამძლეობა, მოქნილობა, აზროვნება და ის უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია ცხოვრებისა და სამხედრო პირობებებისათვის.

## 1.2. ტანვარჯიშის შვედური სისტემა



ტანვარჯიშის შვედური სისტემის დამფუძნებელია შვედი თერაპევტი, მეცნიერი და მასწავლებელი **პერ ჰენრიკ ლინგი**.

იგი დაიბადა სამხრეთ შვედეთში 1776 წლის 15 ნოემბერს, მღვდლის ოჯახში. იყო ცნობილი მეცნიერის **ოლოფ რუდბეკის** (ადამიანის ლიმფური სისტემის

აღმომჩენის) შვილიშვილი. 1792 წელს გიმნაზიის დამთავრების შემდეგ პერ ჰენრიკ ლინგი სწავლობდა შვეციის ქალაქების ლუნდისა და უფსალას უნივერსიტეტებში. შემდეგ წავიდა საზღვარგარეთ, ჯერ კოპენჰაგენში, სადაც თანამედროვე ენებს ასწავლიდა, შემდეგ კი გერმანიაში, საფრანგეთსა და ინგლისში.

ამ ქვეყნებში მოგზაურობის პერიოდში შეიძინა მნიშვნელოვანი ცოდნა ტანვარჯიშსა და ფარიკაობაში. 1804 წელს ის დაბრუნდა შვედეთში და დამკვიდრდა ამ დისციპლინების მასწავლებლად ქალაქ ლუნდის ერთ-ერთ სკოლაში. 1805 წელს დაინიშნა ფარიკაობის მასწავლებლად ლუნდის უნივერსიტეტში.

ყოველდღიური ვარჯიშების ზეგავლენით მან მთლიანად აღიდგინა ფიზიკური ჯანმრთელობა (აწუხებდა რევმატიზმი) და დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ როგორ გამოეყენებინა ეს გამოცდილება სხვა ადამიანების სასარგებლოდ.



ლუნდის უნივერსიტეტში **პერ ჰენრიკ ლინგმა** გაიარა სამედიცინო მომზადების სრული კურსი და მიიღო ექიმის კვალიფიკაცია. მოგვიანებით მან შეიმუშავა ტანვარჯიშის საკუთარი სისტემა, რომელიც შედგებოდა ოთხი მიმართულებისაგან: **პედაგოგიური, სამედიცინო, სამხედრო და ესთეტიკური.**

ლინგს რამოდენიმეჯერ ჰქონდა მცდელობა დაეინტერესებინა შვედეთის მთავრობა თავისი ტანვარჯიშული სისტემით, მაგრამ ყოველი მისი მცდელობა უშედეგო იყო. ის არ ნებდებოდა და საბოლოო ჯამში 1813 წელს საწადელს მიაღწია. მთავრობა დათანხმდა მასთან თანამშრომლობას, გამოუყვეს გარკვეული ფულადი სახსრები და მან სტოკჰოლმში გახსნა ტანვარჯიშის ცენტრალური სამეფო ინსტიტუტი, სადაც დაიწყო ფიზიკური აღზრდის მასწავლებლების მომზადება.

ლინგის ფიზიკური აღზრდის მეთოდები აღიარებულ იქნა და 1831 წელს ის აირჩიეს შვედეთის სამედიცინო საზოგადოების წევრად. ლინგი გარდაიცვალა 1839 წელს. 1840 წელს გამოიცა მისი წიგნი „ტანვარჯიშის ზოგადი საფუძვლები“, რომელიც მან დაასრულა 1834 წელს.

აღსანიშნავია, რომ ლინგის ვაჟი, **იალმარ ლინგი**, მამის კვალს გაყვა და მაიორ **ტურე ბრანდტთან** ერთად, რომელიც 1861 წლიდან სპეციალიზირდებოდა ქალების მკურნალობაში (გინეკოლოგიური ტანვარჯიში), ითვლებიან შვედური **სამედიცინო ტანვარჯიშის ფუძემდებლებად.**

### 1.3. ტანვარჯიშის ჩეხური სისტემა „სოკოლი“

ჩეხური ტანვარჯიშული სისტემა „სოკოლის“ შემქმნელადმიიჩნევენ – **მიროსლავ (ფრიდრიხ) ტირშს**, საზოგადო და სპორტულ მოღვაწეს, მასწავლებელს, ფილოსოფიის დოქტორს, პროფესორს, ლიტერატურათმცოდნეს. მსოფლიო ახალგაზრდული სპორტული საზოგადოება „სოკოლის“ დამფუძნებელს.



**ტირში** დაიბადა 1832 წლის 17 სექტემბერს, ექიმების, გერმანულ ენოვან ოჯახში.


ის ექვსი წლის იყო, როდესაც მისი მშობლები და ორი და გარდაიცვალა ტუბერკულოზით. მარტო დარჩენილი ბიჭი გაიზარდა ბიძის სახლში, მლადა ბოლესლავის მახლობლად, რომანტიული ჩეხური ნაციონალიზმის იდეების გავლენის ქვეშ.

მოგვიანებით ტირშმა შეიცვალა გერმანული სახელი **ფრიდრიხი** ჩეხური **მიროსლავით**. 16 წლის ასაკში მან მონაწილეობა მიიღო პრადის ქუჩებში ავსტრიის იმპერიის

ერთა გაზაფხულის რევოლუციურ მოვლენებში. მოგვიანებით სწავლობდა ფილოსოფიას ქალაქ კარლოვის უნივერსიტეტში. 1860 წელს გახდა ფილოსოფიის დოქტორი. იყო რამდენიმე ფილოსოფიური სტატიის ავტორი პირველ ჩეხურ ენციკლოპედიაში.

1862 წელს **მიროსლავ ტირშმა** დააარსა პირველი სპორტული კლუბი. **ტირში** და მისი მეგობარი **ჰაინრიხ ფუგნერი** შთაგონებული იყვნენ უძველესი იდეით – ადამიანის ფიზიკური და სულიერი თვისებების ჰარმონიული განვითარების იდეით, რომელიც, მათი აზრით, მიიღწევა ფიზიკური ვარჯიშებით და განათლებით.

**ჰაინრიხ ფუგნერის** ფინანსური მხარდაჭერით მან ჩამოაყალიბა პირველი ჩეხური ტანვარჯიშული



საზოგადოება „**პრადის სოკოლი**“, სადაც ყურადღება ექცეოდა სამწყობრო ვარჯიშებს, ძალოსნობას, ფარეკა-ობასა და ტანვარჯიშს. ტრენინგის შემდეგ სოკოლის წევრები იკრიბებოდნენ საგანმანათლებლო ლექციებისა და დისკუსიებისთვის. 1862 წლის მაისიდან მას ამ საზოგადოების

მთავარი ინსტრუქტორის თანამდებობა ეკავა. საზოგადოების წევრებს ჰქონდა საკუთარი ფორმა,

შერწყმული სხვადასხვა ერის ხალხური სამოსისგან – რუსული შარვალი, გერმანული ქურთუკი, მონტენეგრული ქუდი და გარიბალდის წითელი პერანგი. „სოკოლური“ მოძრაობა გახდა თანამედროვე ჩეხური ნაციონალიზმისა და ჩეხური სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი ქვაკუთხედი, რომელიც თავდაპირველად პრორუსული ორიენტაციის იყო.

„სოკოლი“ თავისი პანსლავიზმის იდეებით (იდეური მიმდინარეობა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა XIX საუკუნის რუსეთსა და სხვა სლავურ ქვეყნებში), სწრაფად ფართოვდებოდა, მომდევნო წლებში მისი ფილიალები იხსნება სლოვენურ ლუბლიანაში, შემდეგ ზაგრებში, პოლონეთში, დასავლეთ უკრაინაში, გერმანიასა და სანკტ-პეტერბურგში.

1871 წელს ტირში გახდა ჟურნალ „სოკოლის“ მფლობელი და მთავარი რედაქტორი. პირველი ნომერი გაიხსნა ტირშის პროგრამული სტატიით „ჩვენი ამოცანა, მიმართულება და მიზანი“.

მიროსლავ ტირში ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას, აირჩეული იყო ვენის პარლამენტის წევრად. 1881 წელს პრაღაში ეროვნული თეატრის გახსნის აქტიური პრომოუტერი და ქალაქ პრაღის მუზეუმის თანადამფუძნებელი.

1884 წლის ზაფხულში მიროსლავ ტირში დასასვენებლად შვებულებაში გაემგზავრა აღმოსავლეთ ალპებში, ეცტალის ხეობაში. 8 აგვისტოს ის უგზოუკვლოდ გაუჩინარდა. მისი ცხედარი მხოლოდ 13 დღის შემდეგ იპოვეს მდინარეში.

ტირშის ფერფლი პრადის ოლშანსკის სასაფლაოზე გადაასვენეს.



ჩეხური სოკოლის გერბი

მე-19 საუკუნეში ტანვარჯიში საყოველთაოდ აღიარებულ სპორტად იქცა. ევროპის მსგავსად, უკვე ამერიკის კონტინენტზეც შეიმჩნევა ტანვარჯიშის წარმოუდგენელი ბუმი. მომდევნო, მე-20 საუკუნეს, თამამად შეიძლება ეწოდოს ტანვარჯიშის ეპოქა.

## 1.4. ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაცია



ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაცია ერთერთი უძველესი ფედერაციაა მსოფლიოში. 1881 წლის 23 ივლისს, ბელგიის ტანვარჯიშის ასოციაციის პრეზიდენტის, ნიკოლას კუპერუსის ინიციატივით, ბელგიის ქალაქ ლიეჟში გამართულ კონგრესზე შეიქმნა ევროპის ტანვარჯიშის ასოციაცია, რომელიც აერთიანებდა სამ სახელმწიფოს - ბელგიას, ნიდერლანდებს და საფრანგეთს. ასოციაციამ შეიმუშავა შეჯიბრების ჩატარების წესები და შეფასების გამოვლენის პრინციპები.

მომდევნო წლებში თანდათან გაფართოვდა წევრი ქვეყნების გეოგრაფია და ევროპის ტანვარჯიშის ასოციაცია გადაკეთდა ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციად (IFBB).

დღეს, ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაცია აერთიანებს მსოფლიოს 126 ქვეყნის ფედერაციას და 4 კონფედერაციას. შტაბბინა განთავსებულია შვეიცარიის ქალა ლოზანაში.

ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის პარალელურად, 1982 წელს შეიქმნა ევროპის ტანვარჯიშის კავშირი (UEG), რომელიც ატარებს ევროპის დამოუკიდებელ ჩემპიონატებს, ფესტივალებს და სხვა ღონისძიებებს.

UEG-ის შტაბბინაც განთავსებულია ლოზანაში. კავშირი აერთიანებს ევროპის 46 ქვეყანას.

## ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციაში შედის ექვსი ტანვარჯიშული დისციპლინა:

- სპორტული ტანვარჯიში;
- მხატვრული ტანვარჯიში;
- ბატუტზე ხტომა;
- სპორტული აკრობატიკა;
- სპორტული აერობიკა;
- პარკური.



ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციაში შემავალი ექვსი სახეობიდან **ოლიმპიური** თამაშების პროგრამაშია **სამი დისციპლინა:**

- სპორტული ტანვარჯიში;
- მხატვრული ტანვარჯიში;
- ბატუტზე ხტომა;



### ევროპის ჩემპიონატები ტარდება

- სპორტული ტანვარჯიშში;
- მხატვრული ტანვარჯიშში;
- ბატუტზე ხტომაში;
- სპორტულ აკრობატიკაში;
- სპორტული აერობიკაში;

### მსოფლიო ჩემპიონატები ტარდება

- სპორტული ტანვარჯიშში;
- მხატვრული ტანვარჯიშში;
- ბატუტზე ხტომაში;
- სპორტულ აკრობატიკაში;
- სპორტული აერობიკაში;
- პარკურში;

მომდევნო თავებში ტანვარჯიშის ამ სახეობებზე გვექნება საუბარი.

დამოუკიდებელი საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაცია დაფუძნდა 1991 წლის 1 ივნისს.

1992 წლის 18 ივლისიდან ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციისა (FIG) და ევროპის ტანვარჯიშის კავშირის (UEG) წევრია.

დამოუკიდებელი საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტები:

- ანზორ ღონღაძე (1991 – 2004 წ.წ.);
- რუსუდან სიხარულიძე (2004 -2008 წ.წ.);
- კობა სვინტრაძე (2008 - 2011 წ.წ.);
- მერაბ ჩიქობავა (2011-2012 წ.წ.);
- კონსტანტინე ლაშხი (2012 წლიდან )

## თავი II. სპორტული ტანვარჯიში

სპორტული ტანვარჯიში 1896 წლის თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშებიდან სისტემატურად არის პროგრამაში. 1924 წლის ჩათვლით ოლიმპიადებზე მხოლოდ კაცები ასპარეზობდნენ, ქალების დებიუტი კი – 1928 წლის ამსტერდამის ოლიმპიურ თამაშებზე შედგა.

**მსოფლიო ჩემპიონატები** 1903 წლიდან იმართება. პირველ მსოფლიო ჩემპიონატს ბელგიის ქალაქ **ანტვერპენმა** უმასპინძლა.

**ევროპის ჩემპიონატები** სპორტულ ტანვარჯიშში კაცებისათვის 1955 წლიდან, ხოლო ქალებისათვის 1957 წლიდან ტარდება. კაცებისათვის ევროპის პირველი ჩემპიონატი ჩატარდა გერმანიის ქალას **მაინის ფრანკფურტში**, ხოლო ქალებისათვის რუმინეთის დედაქალაქ **ბუქარესტში**.



## 2.1. ტანვარჯიში საქართველოში

საქართველოში სპორტული ტანვარჯიშის შემოსვლის თარიღად XIX საუკუნის მიწურულს, 1889 წელს მიიჩნევენ.

თუმცა, ტანვარჯიში, საქართველოს ზოგიერთ სკოლაში ჯერ კიდევ 1879 წელს დაინერგა, მაგრამ, როგორც სპორტის სახეობა, XIX საუკუნის ბოლოს ჩნდება.

თბილისის გიმნაზიების დირექციამ პრალის სატანვარჯიშო საზოგადოება „სოკოლის“ მესვეურებს თხოვნით მიმართა ტანვარჯიშის კვალიფიციური მასწავლებლის მოვლინების თაობაზე. ამ მიზნით 1889 წელს თბილისში ჩამოვიდა ჩეხი პედაგოგი **იულეს გრუმლეკი**, რომელიც ქალაქის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში მიიწვიეს. მისი თაოსნობით დაარსდა „თბილისის ტანვარჯიშის საზოგადოება“, რომელიც 33 წევრს აერთიანებდა. 1892 წელს იმავე გიმნაზიაში დაიწყო მუშაობა სპორტული ტანვარჯიშისა და ფარეკაობის მასწავლებელმა ბარნა პეტუჩეკმა, რომელიც საქართველოს დედაქალაქს პრალიდან ესტუმრა. მან საქართველოში 1896 წლამდე დაჰყო. მოგვიანებით 1907 წელს, გრუმლეკის მიერ დაარსებულ თბილისის ტანვარჯიშის საზოგადოებას „სოკოლი“ ეწოდა, რომელთა მოღვაწეობას უკავშირდება XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში ტანვარჯიშის მასობრივი განვითარება საქართველოში. ცალკე აღნიშვნის ღირსია ჩეხი საზოგადო და სპორტული მოღვაწე ანტონ ლუკეში, რომელმაც წლების მანძილზე ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქართულ სპორტს და კერძოდ ტანვარჯიშს.

## 2.2. ანტონ ლუკეში



ანტონ ლუკეში

საქართველოში ტანვარჯიშის განვითარების საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ცნობილ ჩეხ ტანმოვარჯიშეს და მწვრთნელს, **ანტონ ლუკეშს**, რომელიც ჩეხეთის „სოკოლის“ კავშირის რეკომენდაციით ჩამოვიდა საქართველოში 1896 წელს.

ლუკეში დაინიშნა თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის ტანვარჯიშის მასწავლებლად და შემდგომში, 23 წლის განმავლობაში, მეთაურობდა საქართველოს ტანვარჯიშულ მოძრაობას.

მან პირველმა ჩამოაყალიბა ტანვარჯიშის მოყვარულთა ჯგუფი, დააარსა საზოგადოება „სოკოლის“ თბილისის ორგანიზაცია. სისტემატურად აწყობდა სახალხო ტანვარჯიშულ დღესასწაულებს და შეჯიბრებებს, აღზარდა არაერთი ცნობილი ქართველი ტანმოვარჯიშე (გიორგი ეგნატაშვილი, გიორგი ნიკოლაძე, გაიოზ ბერელაშვილი და სხვები).

ანტონ ლუკეშის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა სპორტული ჯგუფები, ტანვარჯიშის მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსები, 1907 წელს კი მოაწყო პირველი საერთაშორისო გასვლა პრაღაში, სრულიად „სოკოლის“ V შეკრებაზე, სადაც თბილისის ტანმოვარჯიშეებმა მეორე

ჯგუფის გუნდებს შორის I ადგილი დაიკავეს, პირად შეჯიბრებაში კი გიორგი ეგნატაშვილი 1800 მონაწილეს შორის მე-11 იყო.

1908 წელს დააარსა კურსები – „კავკასიის სამოსწავლო ოლქის ტანვარჯიშობის ყოველწლიური პედაგოგიური სამზადისი“, შეადგინა და გამოსცა ხუთი სახელმძღვანელო. 1918 წელს აირჩიეს თბილისის „შევარდენის“ საპატიო წევრად.

აღსანიშნავია, რომ ანტონ ლუკეში მხოლოდ ტანვარჯიშით არ იყო დაკავებული, მისი ინიციატივით 1906 წელს ჩამოყალიბდა „ბურთით ფეხით მოთამაშეთა“ პირველი გუნდი, სადაც ფეხბურთს ძირითადად გართობის მიზნით თამაშობდნენ. 1907 წელს, რუსეთის იმპერიამ მოითხოვა წრის ოფიციალურად გაფორმება, რათა იგი ყოფილიყო მარტივად კონტროლირებადი და მართვადი. საიმპერატორო კარზე ემინოდათ, რომ ფეხბურთს ჩვენს ქვეყანაში ნაციონალური იდეოლოგია და დამოუკიდებლობის სურვილი არ გაეჩინა.

1907 წლის 23 თებერვალს, რუსეთის იმპერიის თანხმობით შეიქმნა თბილისში პირველი საფეხბურთო გუნდი „კომეტა“. 1908 წელს ჩამოყალიბდა საფეხბურთო კლუბი „სოკოლი“. მომდევნო 2 წლის განმავლობაში გუნდები შექმნეს სამხედრო სკოლებსა და სასწავლებლებში.

ანტონ ლუკეშის თაოსნობით 1909 წელს ჩამოყალიბდა „შევარდენის“ წინამორბედი სპორტული საზოგადოება

„სოკოლი“, რომლის წევრების დევიზი იყო: „ფიქრში – სამშობლო, გულში – სიმარდე და მკლავში – ძალა“.

ლუკეში აწყობდა სახალხო სპორტულ სანახაობებს და შეჯიბრებებს ტანვარჯიშში. სხვადასხვა დროს ტანვარჯიშს ასწავლიდა მიხეილის სამხედრო სასწავლებელში, ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტში, 1908 წლიდან კითხულობდა ლექციას თავისსავე დაარსებულ „კავკასიის სამოსწავლო სასწავლებელში“.

ჩეხეთში დაბრუნდა 1919 წელს. თავის ავტობიოგრაფიაში ანტონ ლუკეში წერს: „თვალცრემლიანი და გულდამწვარი ვემშვიდობებოდი მე საყვარელ ადგილს, რომელიც ჩემს მეორე სამშობლოდ გადაიქცა. მოხარული ვიქნებოდი მემუშავნა კიდევ ჩემ საყვარელ საქმის პირშო სკოლის სასარგებლოდ და ასაყვავებლად, მაგრამ ბედმა სხვაფრივ გადასწყვიტა... ნუ მომიგონებთ უმადურათ. ყოველი თქვენი წარმატება, ყოველი თქვენი პროგრესი, ძლიერ გამახარებს. უსურვებ რა ყოველსავე კარგს ჩემთვის საყვარელ „შევარდენს“, მიიღეთ საყვარელნო ძმებო და დებო, და შენ, ქართველო ახალგაზრდობავ, ძმური სალამი „Наздар“. გაუმარჯოს საქართველოს რესპუბლიკას, ნახვამდის პრაჰაში, თავისუფალ ჩეხია-სლოვაკიის რესპუბლიკაში. თქვენი ანტონ ლუკეში“.

გამოჩენილი ქართველი ტანმოვარჯიშე და პედაგოგი **გიორგი ეგნატაშვილი** ანტონ ლუკეშს საქართველოში ტანვარჯიშის ფუძემდებლად მიიჩნევდა.

## 2.3. გიორგი ეგნატაშვილი

დაიბადა თბილისში, 1885 წლის 12 მარტს. სპორტული მოღვაწეობა დაიწყო მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე. მისდევდა ჭიდაობას, მძლეოსნობას, ცურვას. 1903 წლიდან კი მთელი ცხოვრება ტანვარჯიშს დაუკავშირა.



1907 წელს მონაწილეობდა საზოგადოება „სოკოლის“ პრადის მე-5 საერთაშორისო ტურნირში და საქართველოს გუნდთან ერთად III ჯგუფის გუნდებს შორის მერე ადგილი დაიკავა. პირად შეჯიბრებაში კი 1800 მონაწილეს შორის მე-11 იყო.

1909 წელს დაამთავრა პრადის სატანვარჯიშო კურსები და მიიღო ტანვარჯიშის მასწავლებლის უმაღლესი კატეგორია. თავისი სამასწავლებლო კარიერა დაიწყო თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში.

1912 წელს, გიორგი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით თბილისის „სოკოლის“ ტანვარჯიშეთა გუნდმა ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღაში, ტანვარჯიშეთა საზოგადოება „სოკოლის“ VI საიუბილეო შეკრებაზე, დაბალ ჯგუფში I ადგილი დაიკავა, ხოლო ტანვარჯიშული მრავალჭიდის პირად შეჯიბრებაში III ადგილი.



1918 წელს აირჩიეს თბილისის სპორტული საზოგადოება „სოკოლის“ უფროსად, იმავე წელს ახალდაარსებული „შევარდენის“ კავშირის ვარჯიშის თავად. სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისის დაწყებითი სკოლების ტანვარჯიშის ინსტრუქტორად, განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის კაბინეტის გამგედ. ხელმძღვანელობდა მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას თბილისის სკოლებსა და ტექნიკუმებში.

1938–1941 წლებში იყო – საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრის გამგე.

1941 წლიდან მუშაობდა ფიზიკური აღზრდის მასწავლებლად ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შემდეგ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

1936 წელს ერთ-ერთ პირველს მიენიჭა სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატის, ხოლო 1954 წელს სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული მწვრთნელის წოდება. იყო საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი.

მისი სახელი მიეკუთვნა თბილისის ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალურ სატანვარჯიშო სკოლას. გიორგი ეგნატაშვილი გარდაიცვალა 76 წლის ასაკში, 1962 წლის 16 იანვარს.

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

## 2.4. გიორგი ნიკოლაძე



დაიბადა 1888 წლის 11 აგვისტოს დიდ ჯიხაიშში, ქართველი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის ოჯახში.

მას მოღვაწეობა მოუწია ქართული ტანვარჯიშის და ზოგადად ქართული სპორტის ერთერთ ღვაწლმოსილ და თვალსაჩინო წარმომადგენელს **გიორგი ეგნატაშვილთან**.

იგი ადრეული წლებიდან დაკავებული იყო ტანვარჯიშით. მეცადინეობა დაიწყო თბილისის პირველ გიმნაზიაში ჩეხი პედაგოგის ანტონ ლუკემის ხელმძღვა-ნელობით.

1908 წელს მონაწილეობდა ბულგარეთში გამართულ ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირზე.

1912 წელს პეტერბურგის გუნდ „სოკოლის“ შემადგენლობაში იყო და მონაწილეობა მიიღო ტანმოვარჯიშეთა მსოფლიოს მე-6 შეკრებაზე პრაღაში, სადაც 2000 მონაწილეს შორის პირად შეჯიბრებაში დაიკავა მე-15 ადგილი ტანვარჯიშში.

1918 წელს გიორგი ნიკოლაძემ დააარსა საქართველოში პირველი ტანვარჯიშული საზოგადოება „შევარდენი“ რომლის პირველი და უკანასკნელი თავმჯდომარეც თვითონ იყო.

1923 წლის 28 აგვისტოს მოაწყო ასვლა მყინვარწვერზე, რომელშიც მონაწილეობდა 18 ალპინისტი, მათ შორის 5 ქალი, რამაც დასაბამი მისცა საბჭოთა ალპინიზმს. 1924 წელს დააარსა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება, რომლის თავმჯდომარე თვითონ იყო.

გიორგი ნიკოლაძე, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ზოგადად ქართული სპორტისა და კერძოდ ტანვარჯიშის განვითარების საქმეში, უაღრესად წარმატებული მათემატიკოსი, მეტალურგი, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი იყო და მისი აქტიური წევრი. გეოგრაფიული საზოგადოება ცდილობდა საქართველოს ბუნებრივი რესურსების, კულტურული მემკვიდრეობისა და ზოგადად ქვეყნის გეოგრაფიული სტატუსის შესწავლას. ნიკოლაძე ამ ორგანიზაციის გზამკვლევი იყო და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს გეოგრაფიული მეცნიერებების განვითარებაში.

მისი ნაშრომები და მემკვიდრეობა მნიშვნელოვანი იყო როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში. გიორგი ნიკოლაძე ასევე იყო მრავალი გამოგონებისა და ტექნოლოგიური პროცესის შემქმნელი.

1927 წელს მან შექმნა თეორია ალგებრული წირების ალგებრული სისტემების შესახებ. ეს თეორია შემდგომ საფუძვლად დაედო დისერტაციას, რომელიც მან 1928 წელს დაიცვა სორბონის უნივერსიტეტში და მიიღო პროფესორის წოდება. მოგვიანებით მისი სადისერტაციო ნაშრომი პარიზში ცალკე წიგნად გამოიცა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციების სავალდებულო კურსებს „ანალიზურ გეომეტრიასა“ და „დიფერენციალურ გეომეტრიაში“. ამ დარგში შექმნა პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელოები.

1929-1930 წლებში მისი ხელმძღვანელობით თბილისში, დიდუბეში, აშენდა ფეროშენადნობთა სადნობი საცდელი ლუმელი. აქ ჩატარებული ცდების შედეგები საფუძვლად დაედო ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშაობას.

მონაწილეობდა ტექნიკური და სპორტული ტერმინოლოგიის შედგენაში. მისი ხელმძღვანელობით გამოიცა პირველი ქართული სახელმძღვანელო ტანვარჯიშში.

გარდაიცვალა 43 წლის ასაკში, 1931 წლის 5 თებერვალს. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. 1973 წელს დაარსდა მისი სახელობის პრემია ტექნიკის დარგში საუკეთესო მეცნიერული ნაშრომისთვის.

## 2.5. ტანვარჯიში XX საუკუნის პირველ ნახევარში

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი ტანმწვარჯიშეების პრაქტიკაში წარმატებულმა გამოსვლებმა ახალი სტიმული მისცა ტანვარჯიშის გავრცელებას არა მარტო თბილისში, არამედ – ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, სოხუმში, ახალციხეში, თელავში, ხონში, ზესტაფონსა და საქართველოს სხვა ქალაქებში.

ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში 1912-14 წლებში მასწავლებლობდა ჩეხი ბლავუკი, ბათუმში – ვაცლავ კოუბა (1910-14), რომელმაც ქართველ ენთუზიასტებთან ერთად 1913 წელს „სოკოლის“ 100-წევრიანი საზოგადოება ჩამოაყალიბა.

1917 წელს გაიოზ ბერელაშვილმა და დათა ჯავრიშვილმა თბილისში დააფუძნეს ტანვარჯიშიანი საზოგადოება „ამირანი“. მოგვიანებით, საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგ, „სოკოლისა“ და „ამირანის“ ხელმძღვანელებმა მხარი დაუჭირეს გიორგი ნიკოლაძის წინადადებას გაერთიანების საფუძველზე დამოუკიდებელი ტანვარჯიშიანი საზოგადოების – „შევარდენის“ დაარსების თაობაზე.

მოგვიანებით, საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგ, ქვეყნის უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა ძველი სახელმწიფო აპარატის დამსხვრევა და ახლის შექმნა, რომლის განხორციელება

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველივე დღეებიდან დაიწყო.

სხვა დემოკრატიულ გარდაქმნებთან ერთად, ხელისუფლებამ დიდი ყურადღება დაუთმო და სახელმწიფოს ზრუნვის საგნად აქცია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარება.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანას ფაქტობრივად არანაირი გამოცდილება არ გააჩნდა აღნიშნული სფეროს საქმიანობის უკეთ წარმართვაში რომ გამოადგებოდა, დამოუკიდებლობის მოპოვებისა და მისი არსებობის ხანმოკლე მანძილზე მაინც შეძლო გარკვეული ნაბიჯების გადადგმა, რაც აისახებოდა იმდროინდელი პრესის ფურცლებზე.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან რამდენიმე თვეში, გიმნასტიკური საზოგადოება „ამირანი“, რომელიც მანამდე სამხედრო კავშირთან არსებობდა, საზოგადოება „შევარდენად“ გადაკეთდა.

„შევარდენმა“ აქტიური და ნაყოფიერი მუშაობა გააჩაღა, რის გამოც მაღალი შეფასებები დაიმსახურა 1919 წლის 23 მარტს გამართულ სრულიად „შევარდენის“ წლიურ შეკრებაზე. „შევარდენის“ კარგ მუშაობაზე მეტყველებს ის ფაქტები, რომ თავისი დაარსებიდან მე-6 თვეზე უკვე შეძლო შემოეკრიბა სერიოზული ძალები და რუსეთიდან მშობლიურ ქვეყანაში დააბრუნა მრავალი სპორტსმენი და სპორტის მუშაკი.

ახალგაზრდა რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ექცეოდა სასწავლებლებში ფიზიკური აღზრდის, განსაკუთრებით კი ტანვარჯიშის დანერგვას. 1919 წელს განათლების სამინისტრომ მთავრობას წარუდგინა მოხსენება, რომელშიც აღნიშნული იყო სკოლებში ტანვარჯიშის გაკვეთილების შემოღების აუცილებლობა. განათლების სამინისტროს ეს მოთხოვნა საკმაოდ მოკლე ვადაში გაითვალისწინა მთავრობამ და მიუხედავად უმძიმესი ფინანსური მდგომარეობისა, 5000 მანეთი გამოუყო განათლების სამინისტროს ამ საქმისათვის.

ტანვარჯიშის მთავარმა სამმართველომ დაამთავრა საშუალო სასწავლებლებისათვის პროგრამების შედგენა და 1919 წლის 8 სექტემბერს უკვე 20 მასწავლებელი გაანაწილა სკოლებში (გაზეთი „საქართველო“, 1919 წ. N 200).



შაკ დაღკროზი

განათლების სამინისტრომ ასევე ნება დართო საქართველოს სამუსიკო საზოგადოებასთან გახსნილიყო შვეიცარიელი კომპოზიტორისა და პედაგოგის **ემილ ჟაკ დაღკროზის** – ადამიანის ჰარმონიული განვითარების, ანუ რიტმული გიმნასტიკის ინსტიტუტის თბილისის განყოფილება. ინსტიტუტში ბავშვები და მოზარდები მიიღებოდნენ.

როგორც 1918 წლის N59 გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ აღნიშნა ინსტიტუტში ბავშვთა განყოფილებაზე პირველი მიღება 1918 წლის ნოემბერში განხორციელდა.

ჟაკ დალკროზის რიტმული გიმნასტიკის ინსტიტუტი, გარდა რიტმული გიმნასტიკის განვითარებისა, ხელს უწყობდა სხეულის ფიზიკურ განვითარებას, ახალგაზრდების მუსიკალურ და ესთეტიკურ აღზრდას. ინსტიტუტმა სულ მოკლე დროში საკმაო პოპულარობა მოიპოვა.

1920 წლის 1 ივლისს თბილისშივე გაიხსნა „შევარდენის“ ორთვიანი კურსები გიორგი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით, რომელშიც 35 მსმენელი გაერთიანდა. იმავე წელს განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით გაიხსნა ფიზაღზრდის ინსტრუქტორთა კურსები. აღნიშნული კურსების ძირითადი ამოცანა იყო მოემზადებინათ ისეთი კადრები, რომელიც მთელი საქართველოს მასშტაბით პროპაგანდას გაუწევდნენ ფიზიკური აღზრდის აუცილებლობას და შეეცდებოდნენ „შევარდენის“ განყოფილებების დაარსებას. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ თბილისში იმავე 1920 წელს გაიხსნა ტანვარჯიშის მასწავლებელთა ერთთვიანი კურსებიც.

ბუნებრივია, აღნიშნულ კურსებზე და სასწავლებლებში ვერასგზით ვერ მოხერხდებოდა სწავლების ნორმალურად წარმართვა ტანვარჯიშული ტერმინოლოგიის გარეშე. ამ საკითხზე სპეციალურად შექმნილი „შევარდენის“ მწვრთნელთა კომისია მუშაობდა და მან 1920 წელს გამოაქვეყნა კიდევ განცხადება, რომ სულ მოკლე დროში



გამოვიდოდა მათ მიერ შემუშავებული ქართული ტანვარჯიშული ტერმინოლოგია.

ახალგაზრდა რესპუბლიკის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორიაში გამორჩეულ თარიღად მიიჩნევა 1921 წლის 5 იანვარი. გაიმართა საქართველოს „შევარდენტა“ კავშირის დამფუძნებელი კრება და დაარსდა ქართული სატანვარჯიშო საზოგადოების კავშირი, რომელშიც გაერთიანდნენ თბილისის, ქუთაისის, ფოთის, თელავის, ახალ-სენაკის საზოგადოებები.

საზოგადოება „შევარდენტა“ 1922 წლის 3 ნოემბრამდე იარსება. იმ დროისთვის ის 15 ორგანიზაცია 10 ათასამდე წევრს აერთიანებდა. საზოგადოების აქტიური წევრები იყვნენ **არჩილ ბაქრაძე, ვანო და გიორგი ბერიძეები, გიორგი ეგნატაშვილი, ირაკლი ლორთქიფანიძე, გიორგი ლაფერაშვილი, გიორგი მერკვილაძე, გიორგი ლაზარაშვილი** და სხვები.

მიუხედავად საქართველოს დამოუკიდებლობის ხანმოკლე პერიოდისა, გიორგი ნიკოლაძის მეთაურობით, „შევარდენტა“ ბევრი კარგი საქმის გაკეთება მოასწრო. საზოგადოების წევრებმა შეადგინეს ტანვარჯიშის ქართული ტერმინოლოგია, გამოსცეს სპეციალური ლიტერატურა. მოგვიანებით ტანვარჯიშული ჯგუფები გაიხსნა „პიშჩევკის“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, 31-ე საავიაციო ქარხნისა და სხვა დარბაზებში.

სკოლებში ტანვარჯიშის სწავლება სათანადო დონეზე რომ ყოფილიყო და ყველგან სპეციალისტს წაეყვანა იგი,

განათლების სამინისტრომ ამ მიზნით 1920 წლის 1 ოქტომბერს შევარდენში გახსნა რვათვიანი უფასო ტანვარჯიშული ინსტიტუტი, რომელიც მასწავლებლებს მოამზადებდა. ამ საქმის ხელმძღვანელად **გაიოზ ბერელა-შვილი** დანიშნა.



## 2.6. გაიოზ ბერელაშვილი



დაიბადა 1893 წლის 2 ოტომბერს, თბილისში. 10 წლის ასაკიდან დაიწყო ვარჯიში ტანვარჯიშში და თბილისის „სოკოლის“ სახელით, 1912 წელს მონაწილეობდა პრადის მეექვსე საერთაშორისო შეკრებაში, სადაც თბილისის ნაკრებთან ერთად მეორე თანრიგში I ადგილი დაიკავა. 1913 წლიდან ცხოვრობდა მოსკოვში. სწავლობდა

მოსკოვის უნივერსიტეტში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1918 წელს.

თბილისში დაბრუნების შემდეგ გაიოზ ბერელაშვილი აქტიურად ჩაერთო სპორტულ საქმიანობაში. იგი ითვლება ტანვარჯიშული საზოგადოება „შევარდენის“ ერთ-ერთ დამაარსებლად. 1918 წელს აირჩიეს „შევარდენის“ ვარჯიშთავის, პირველ თანამემწედ.

1921-1937 წლებში იყო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ფიზიკური მომზადების ინსპექტორი. 1937 წლის 2 ივლისს დააპატიმრეს და „კონტრრევოლუციური სამხედრო ნაციონალისტური ორგანიზაციის“ წევრობის ბრალდებით დახვრიტეს. რეაბილიტირებული იქნა 1956

წელს, დანაშაულის შემადგენლის არარსებობის გამო.

**ცალკე განხილვის საგანია 1918-1921 წლებში, დამოუკიდებელ საქართველოში გამართული სპორტული შეჯიბრებები.** მიუხედავად იმისა, რომ ამ წლებში სპორტის რომელიმე სახეობაში რესპუბლიკური ჩემპიონატი არ ჩატარებულა, რაც სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზებით იყო გაპირობებული (სპორტის ცალკეული სახეობები ამ პერიოდისათვის იდგამდნენ ფეხს), უნდა აღინიშნოს ისევ და ისევ „შევარდენის“ უდიდესი როლი ცალკეული სპორტული შეჯიბრებების ორგანიზების საქმეში.

მონაწილეთა სიმრავლით **გამოირჩეოდა 1920 წლის 16-17 აპრილს გამართული „შევარდენის“ პირველობა ტანვარჯიშში.** შეჯიბრება დაბალ, საშუალო და მაღალ თანრიგში ჩატარდა. როგორც გაზეთი „ერთობა“ (N89, 1920 წ.) წერდა, ამ შეჯიბრებას დასწრებიან პარლამენტის განათლების კომისიის თავმჯდომარე, განათლების მინისტრი, თბილისის მოურავი და სხვა ოფიციალური პირები.

პირველი ქართული რესპუბლიკა, მიუხედავად ურთულესი საშინაო, საგარეო და უმძიმესი ეკონომიური პირობებისა, ყოველნაირად ცდილობდა ყურადღება არ მოეკლო ფიზიკური აღზრდისა და სპორტისათვის.

მიუხედავად დამოუკიდებელი განვითარების ხანმოკლე პერიოდისა, განათლების განვითარებისათვის ის უაღრესად ნაყოფიერი აღმოჩნდა. დაარსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სხვა უმაღლესი

სასწავლებლები. ამავე პერიოდში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ნოე ჟორდანიამ ხელი მოაწერა განკარგულებას სპორტული უმაღლესი სასწავლებლის – ადამიანის ჰარმონიული განვითარების ინსტიტუტის თბილისში დაარსების შესახებ.

სამწუხაროდ ეს განკარგულება, ისევე, როგორც ბევრი სხვა, ვერ განხორციელდა. ხელმოწერის მეორე დღეს საქართველოში შემოვიდა ბოლშევიკური რუსეთის საოკუპაციო ჯარი და ჩვენი ქვეყანა კვლავ ანექსირებული იქნა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამიერიდან საქართველო დაემორჩილებოდა მხოლოდ საბჭოთა კანონებს და ყველა სფეროში იხელმძღვანელებდა იმ დირექტივებით, რომლებსაც საკავშირო მთავრობა გამოსცემდა.

სწორედ ამ მიზეზით იყო განპირობებული ის გარემოება, რომ ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებიდან საერთაშორისო ოფიციალურ შეჯიბრებებში (ოლიმპიური თამაშები, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები), მხოლოდ ისინი იასპარეზებდნენ, რომლებიც სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში მოხვდებოდნენ და თუ სსრ კავშირის სპორტული ფედერაციები გაწევრიანდებოდნენ საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებში. ეს პროცესი კი ძალიან გვიან დაიწყო, საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებში სსრ კავშირის სხვადასხვა სპორტული ფედერაციების გაწევრიანება 1946 დაიწყო, ხოლო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი 1951 წელს გახდა. ამიტომ, მე-20

საუკუნის 30-40-იან წლებში ქართველი სპორტსმენები-სათვის ყველაზე მაღალი დონის შეჯიბრება საქართველოსა და სსრ კავშირის ჩემპიონატები იყო.

XX საუკუნის 20-30-იანი წლების საქართველოში სწორედ ტანვარჯიში იქცა ზოგადად სპორტის განვითარების ძირითად მიმართულებად. საკავშირო არენაზე დომინირებდნენ ქართველი ტანმოვარჯიშეები: **გიორგი (გულო) რცხილაძე, გიორგი ბაბილოძე, ალექსანდრე ჯორჯაძე, პავლე როინიშვილი, ნიკოლოზ თაყაიშვილი, რაისა ზაალიშვილი და სხვები.** ისიც უდავოდ საგულისხმოა, რომ ერთ-ერთმა პირველმა სწორედ ტანვარჯიშმა წარმოაჩინა საქართველო საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე, შემდეგ კი სხვებზე უწინ აიყვანა ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

საბჭოთა პერიოდში პირველებმა გაითქვეს სახელი **გიორგი (გულო) რცხილაძემ, გიორგი ბაბილოძემ, ალექსანდრე ჯორჯაძემ, პავლე როინიშვილმა, ნიკოლოზ თაყაიშვილმა და სხვებმა.** ამ თაობის ტანმოვარჯიშეებს 1930-იან წლებში არაერთხელ გაუმარჯვიათ საკავშირო შეჯიბრებებში, 1932-34 წლებში სსრ კავშირის სამგზის აბსოლუტური ჩემპიონი იყო **გულო რცხილაძე.** 1938 წელს მოსკოვში **პავლე როინიშვილი** ასევე ხდება აბსოლუტურ ჩემპიონი.

საერთაშორისო სარბიელზე მათი გზა ღირსეულად გააგრძელეს მომდევნო თაობების წარმომადგენლებმა.

## 2.7. გიორგი (გულო) რცხილაძე



დაიბადა ქ. თბილისში 1909 წლის 14 აპრილს ცნობილი საზოგადო მოღვაწის ვასილ რცხილაძის ოჯახში. პატარაობიდან გატაცებული იყო მუსიკით და ტანვარჯიშით. გახდა თბილისის კონსერვატორიის სტუჯდენტი, მაგრამ ტანვარჯიშმა უფრო გაიტაცა და იგი მისი ცხოვრების მეგზურად

იქცა. ინტენსიურად დაიწყო სპორტის ამ ურთულეს სახეობაში ვარჯიში საქართველოში სპორტული საზოგადოება „შევარდენის“ ერთ-ერთი დამფუძნელის, ცნობილი ტანმოვარჯიშის გიორგი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით და უკვე 1928 წელს, 19 წლის გიორგი რცხილაძემ, რომელმაც პირველად იასპარეზა სსრ კავშირის ჩემპიონატზე, ყველასათვის მოულოდნელად, მრავალჭიდაში მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ეს ყველაფერი დასაწყისი იყო.

მომდევნო წლებში ჩვენი თანამემამულე ზედიზედ სამჯერ 1932, 1933 და 1934 წლებში იგებს სსრ კავშირის აბსოლიტური ჩემპიონის ტიტულებს და სსრ კავშირის ნაკრები გუნდის უპირობო ლიდერი ხდება.

მას ერთ-ერთ პირველს მიენიჭა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება. როგორც წარმატებულმა ორგანიზატორმა, გიორგი რცხილაძემ სახელოვანი გზა განვლო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლიდან თბილისის საქალაქო სპორტული ორგანიზაციის ხელმძღვანელამდე. მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, მოსკოვის ფიზიკური კულტურის ცენტრალური ინსტიტუტში, საქართველოს სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკურ საბჭოში. ყველგან გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმითა და თავდადებული მუშაობით. მინიჭებული აქვს საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდება.

1972 წელს მისი სახელი მიენიჭა თბილისის ტანვარჯიშის სპეციალიზებულ სპორტულ სკოლას. დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის ორდენით.

გიორგი რცხილაძე 60 წლის ასაკში, 1969 წლის 1 ნოემბერს გარდაიცვალა. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში მამის – ვასილ რცხილაძის გვერდით.



## 2.8. გიორგი ბაბილოძე

დაიბადა 1911 წლის 20 აპრილს რუსეთში, ტომსკის ოლქში.

მე-20 საუკუნის 30-იანი წლების ქართული ტანვარჯიშული სკოლის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი. სპორტის დამსახურებული ოსტატი, დამსახურებული მწვრთნელი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი.



1937 წელს დაამთავრა ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტი, 1947 წელს კი ფიზიკური კულტურის ცენტრალური საკავშირო ინსტიტუტის ფილიალი.

1932 წელს სსრ კავშირის ჩემპიონატზე დაიკავა მესამე ადგილი აბსოლუტურ კატეგორიაში. 1934 წელს საქართველოს ტანვარჯიშეთა ნაკრების შემადგენლობაში გაიმარჯვა პირველ საკავშირო ჩემპიონატზე.

1939 სსრ კავშირის ჩემპიონატზე ოქროს მედალი მოიგო ორძელზე. ამავე წელს პროფკავშირთა საკავშირო ასპარეზობაზე მოიგო აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული. 1940 კი სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა რგოლებზე ვარჯიშში.

გარდაიცვალა 79 წლის ასაკში, 1990 წლის 19 აგვისტოს.

## 2.9. ალექსანდრე ჯორჯაძე

დაიბადა 1913 წლის 15 ოქტომბერს თბილისში. სპორტის დამსახურებული ოსტატი. მე-20 საუკუნის 30-40 იანი წლების ერთ-ერთი უძლიერესი ტანმოვარჯიშე. სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი ღერძზე ვარჯიშში(1939,1943,1949წ).



1937 წელს ორი ოქროს მედალი მოიგო ზაფხულის მუშათა მსოფლიო მესამე ფესტივალზე (მსოფლიოს არა-ოფიციალურ ჩემპიონატზე) გუნდურში და ღერძზე ვარჯიშში.

1942-1943 წლებში იყო საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორი, შემდეგ 1966-1973 წლებში ამავე ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრის გამგე.

1973-1977 წლებში იყო ავღანეთის ეროვნული ნაკრების ჯერ კონსულტანტი და შემდეგ მთავარი მწვრთნელი. მის სახელთანაა დაკავშირებული ავღანეთის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის დაარსება.

გარდაიცვალა 76 წლის ასაკში, 1989 წლის 26 ოქტომბერს.

## თავი III. ქართველი ტანმოვარჯიშეები ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებებზე

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებში სსრ კავშირის სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების გაწევრიანება 1946 წლიდან დაიწყო, რომელმაც საქართველოს სპორტსმენებს და მათ შორის ტანმოვარჯიშეებს (რომლებიც მოხვდებოდნენ სსრ კავშირი ნაკრებში), მისცა საშუალება მოესინჯათ თავიანთი ძალები უმაღლესი დონის ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებებში (ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე).

საქართველოს სპორტის ოლიმპიური ისტორია კი XX საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყება, როცა საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაში მონაწილეობის თაობაზე და 1951 წლის 23 აპრილს შეიქმნა სსრკ ოლიმპიური კომიტეტი.

1951 წლის 7 მაისს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) ვენის სესიამ სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტი სოკის წევრად მიიღო. 1951 წლის 16 ოქტომბერს კი მოსკოვში გამართულმა სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პირველმა სესიამ ერთხმად დაადგინა, რომ საბჭოთა სპორტსმენები 1952 წელს ზაფხულის თამაშებში

იასპარეზებდნენ, რაც საქართველოს საუკეთესო სპორტსმენებს აძლევდა შესაძლებლობას ეასპარეზათ ოლიმპიურ თამაშებზე

მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან, ქართველმა ტანმოვარჯიშებმა ღირსეულად გააგრძელეს გიორგი ეგნატაშვილის, გაიოზ ბერელაშვილის, გიორგი ნიკოლაძის, გიორგი რცხილაძის, გიორგი ბაბილოძის, ალექსანდრე ჯორჯაძის და სხვების მიერ გაკვალული გზა და შთამბეჭდავ წარმატებებს მიაღწიეს უდიდეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან სახელი გაითქვეს მზია ჯულელმა, სერგო ჯაიანმა, ნიკოლოზ თაყაიშვილმა, თორნიკე სანებლიძემ, რევაზ და გალინა შარაბიძემ, რაისა ზაალიშვილმა, შოთა ჩაჩხიანმა, ვალიკო ასათიანმა, რევაზ კაჭახიძემ, დონარა ჯანუყაშვილმა, როზა ბერიკაშვილმა, მიხეილ ბოგუსმა, ნოდარ მაკალათიამ, მზია ნინოშვილმა, პაატა შამუგიამ, რუსუდან სიხარულიძემ, ნინა დრონოვამ, ვლადიმერ გოგოლაძემ, ილია გიორგაძემ, ნიკოლოზ თაყაიშვილმა, იური ნინოშვილმა, შოთა აზარაშვილმა, ამირან ნოზაძემ, მალხაზ თათარაძემ, ალექსანდრე ლებედევმა, პავლე ლეონტიევმა, ანაიდა ბაბაისანმა, ეკა ზეთურიძემ, ვახტანგ კველიშვილმა, ამირან ბერიანიძემ, ნუგზარ ღვინიაშვილმა, ზაზა ხომასურიძემ, ლევან სისაურმა და სხვებმა.

### 3.1. მედეა (მზია) ჯუღელი



დაიბადა 1926 წლის 1 აგვისტოს ქუთაისში. 1934 წელს მშობლები საცხოვრებლად გურჯაანში გადავიდნენ. მზიამ რვა წლის ასაკიდან დაიწყო მეცადინეობა ტანვარჯიშში.

პირველ წარმატებას 13 წლის ასაკში მიაღწია. მოსკოვში, მოსწავლეთა საკავშირო პიველობაზე, ყველასათვის უცნობმა ქართველმა ტანმოვარჯიშემ გაიმარჯვა რგოლებზე და ორძელზე ვარჯიშში. 1940 წელს ლენინგრადში, მოსწავლეთა მორიგ საკავშირო ჩემპიონატზე მზია ჯუღელს ასაკით უფროსებთან მოუწია ჭიდილი. აქ ჩვენმა ტანმოვარჯიშემ სენსაციურად გაიმარჯვა ორძელზე და ბჯენით ხტომებში, მრავალჭიდში კი – მეორეზე ადგილი დაიკავა.

პირველი დიდი გამარჯვება 1946 წელს იზეიმა: ბჯენით ხტომაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული მოიგო. ერთი წლის შემდეგ წარმატება გაიმეორა, მან ეს ტიტული კიდევ ხუთჯერ მოიპოვა.

მაგრამ ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია 1952 წლის ჰელსინკის 15-ე ოლიმპიურ თამაშებზე. გუნდურ პირველობაზე ოქროს მედლის მფლობელი გახდა, საგნით ჯგუფურ ვარჯიშში კი ვერცხლის მედალს დაეუფლა.

ქართული სპორტის ისტორიაში ის პირველი ქალია, რომელმაც მოიპოვა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ტიტული. მას თავისი ხანგრძლივი კარიერის მანძილზე მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ შეჯიბრებებში მოპოვებული აქვს 28 მედალი (13-ოქროს,9-ვერცხლი,6 ბრინჯაო).

სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა საქართველოს და სსრკ ტანმოვარჯიშეთა ნაკრებს.

1991-2005 წლებში იყო საქართველოს ტანვარჯიშის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, 2005 წლიდან კი საპატიო პრეზიდენტი. მინიჭებული ჰქონდა სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატის, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის და სპორტის რაინდის წოდება. დაჯილდოებულია ღირსების, ვახტანგ გორგასლის სახელობის II და III ხარისხის ორდენებით.

1959 წელს დაამთავრა საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი.

1972–1991 წლებში იყო საქართველოს უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის დირექტორი.

მედეა (მზია) ჯუღელი გარდაიცვალა 89 წლის ასაკში, 2016 წლის 8 ივნისს.



### 3.2. სერგო ჯაიანი



ქართული ტანვარჯიშის თვალსაჩინო წარმომადგენელი სერგო ჯაიანი დაიბადა სოხუმში 1928 წლის 23 აპრილს.

გატაცებული იყო ფეხბურთით, მაგრამ საბოლოოდ ტანვარჯიში აირჩია და თავისი სპორტული კარიერა სპორტის ამ სახეობას დაუკავშირა. 1957 წელს დაამთავრა სოხუმის

პედაგოგიური ინსტიტუტი.

პირველ დიდ წარმატებას 1954 წელს, მსოფლიოს სტუდენტთა თამაშებზე მიაღწია, ბჯენით ხტომებში მოიგო ვერცხლის მედალი. იმავე წელს სსრკ ჩემპიონატზე მოიგო ოქროს მედალი ბჯენითი ხტომები, 1955 წელს კი სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა ღერძზე ვარჯიშში.

სერგო ჯაიანმა 1951 და 1953 წლებში სსრ კავშირის ჩემპიონატზე თავისუფალ ვარჯიშსა და ბჯენითი ხტომებში ვერცხლის მედლები მოიპოვა, 1951 და 1954 წლებში კი ბრინჯაოს მედლებს დაეუფლა ბჯენითი ხტომებსა და თავისუფალი ვარჯიშში.

თავისი კარიერის მწვერვალი კი 1954 წლის 27-30 ივნისს, იტალიის დედაქალაქ რომში გამართული მსოფლიო ჩემპიონატი იყო. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში სერგო ჯაიანთან ერთად იყვნენ იმ და მომდევნო წლებში მსოფლიოში აღიარებული ტანმოვარჯიშეები: ვიქტორ ჩუკარინი, ვალენტინ მურატოვი, გრანტ შაგინიანი, ბორის შახლინი, ალბერტ აზარიანი, ივან ვოსტრიკოვი და ევგენი კოროლკოვი, დამაჯერებლად მოიგეს ჩემპიონის ოქროს მედლები. უნდა აღინიშნოს, რომ სსრ კავშირის ნაკრებმა მეორე ადგილზე გასულ იაპონელებს 16, ხოლო მესამე ადგილზე გასულ შვეიცარიელებს 18 ქულით აჯობეს.

ტანმოვარჯიშეთა რიგით მეცამეტე მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც პირველი იყო საბჭოთა სპორტსმენებისათვის, გუნდურის გარდა სერგო ჯაიანმა ბჯენით ხტომებშიც იასპარეზა და მესამე ადგილზე დაიკავა. როლებით ვარჯიშში კი მეექვსე იყო.

სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ მუშაობდა სხხადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე. წლების განმავლობაში იყო საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.



სერგო ჯაიანს მინიჭებული აქვს სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება. იყო საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

სერგო ჯაიანი 1990 წლის 22 იანვარს, 62 წლის ასაკში გარდაიცვალა.

### 3.3. გალინა შარაბიძე (მინაიჩევა)



დაიბადა 1929 წლის 29 დეკემბერს ქ. მოსკოვში. ტანვარჯიშში მეცადინეობა 11 წლის ასაკში დაიწყო.

1948 წელს სასომხეთისა და საქართველოს წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა მიიღო პრაღაში გამართულ ახალგაზრდულ სპორტულ ფორუმში.

ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე, 1952 წელს მოიპოვა ჩემპიონის ტიტული გუნდურ ჩათვლაში, ხოლო საგნით ჯგუფურ ვარჯიშსა და ბჯენით ხტომებში ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორი გახდა (რუსეთის სახელით).

1952 წელს, ოლიმპიური თამაშების დამთავრების შემდეგ ცოლად გაჰყვა ქართველ ტანმოვარჯიშე რევაზ შარაბიძეს და საცხოვრებლად გადმოვიდა საქართველოში.

1952 წლის ბოლოს, სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა საქართველოს სახელითა და შარაბიძის გვარით.

1953 წელს მეორედ მოიპოვა სსრკ ჩემპიონის წოდება დვირზე ვარჯიშში. საერთაშორისო ტურნირებში მრავალგზის გამარჯვებული. 1952 წელს მიენიჭა სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება.

გალინა შარაბიძე-მინაიჩევამ ქართული სპორტის ისტორიაში პირველი ტანმოვარჯიშე ქალია, რომელმაც 1954 წელს იტალიის დედაქალაქ რომში, მსოფლიოს ჩემპიონატზე, სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ამავე ჩემპიონატზე საგნით ჯგუფურ ვარჯიშში ვერცხლის პრიზიორი გახდა. სპორტული კარიერა დაასრულა 25 წლის ასაკში, 1954 წელს.

1958 წელს დაამთავრა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი, მოგვიანებით კი უცხო ენების ინსტიტუტი. გარკვეული პერიოდი მუშაობდა მეტროლოგიის ინსტიტუტში თარჯიმნად, შემდეგ მუშაობა დაიწყო უფროს მეთოდისტად საქართველოს სპორტის უმაღლესი დაოსტატების რესპუბლიკურ სკოლაში, სადაც დირექტორი იყო მისი მეგობარი, 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების „ოქროს გუნდის“ წევრი მზია ჯუღელი.



რევაზ და გალინა შარაბიძე  
პატარა შვილთან

სახელით.

გალინა შარაბიძე დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით. არის ღირსების ორდენის კავალერი.

### 3.4. პაატა შამუგია



XX საუკუნის სამოცდაათიანი წლების ქართული ტანვარჯშის ერთ-ერთი გამორჩეული ტანმოვარჯიშე, პაატა შამუგია, დაიბადა 1952 წლის 2 თებერვალს თბილისში.

ვარჯიშობდა საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი მწვრთნელის, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის, ჰანს ბურჯანაძის ხელმძღვანელობით.

პირველ დიდ წარმატებას მიაღწია 1971 წელს, როდესაც 19 წლის მოზარდმა იუნიორთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა ტაიქზე ვარჯიშში, ვერცხლის მედალი მოიპოვა აბსოლუტურ პირველობაზე და მესამე პრიზიორი გახდა თავისუფალ ვარჯიშში.

შემდეგ, უკვე მოზრდილებში, პაატა შამუგიამ წარმატებულად იასპარეზა და ნამდვილი ფურორი მოახდინა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებზე 1973-1977 წლებში.

1973 წელს 21 წლის ახალგაზრდა ქართველმა ტანმოვარჯიშემ სამი ოქროს მედალი მოიგო (ღერძზე ვარჯიშში, ბჯენით ხტომებსა და გუნდურ პირველობაზე). 1974 წელს იზეიმა გამარჯვება ღერძზე ვარჯიშში, 1975 წელს ბჯენით ხტომებში. 1976 წელს ოქროს მედლებს დაეუფლა მრავალჭიდსა და ბჯენით ხტომაში, ხოლო 1977 წელს ბჯენით ხტომაში.

ქართველ ტანმოვარჯიშეებს შორის ის ერთადერთია, რომელსაც სსრ კავშირის ჩემპიონატებზე რვა ოქროს მედალი აქვს მოიპოვებული.

არანაკლებ წარმატებული იყო მისი გამოსვლები სსრ კავშირის თასის გათამაშებაში, 1973 წელს მან გამარჯვება იზეიმა მრავალჭიდში, ღერძზე ვარჯიშსა და ბჯენით ხტომაში.

1975 და 1979 წლებში სსრკ ხალხთა VI და VII სპარტაკიადების ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ბჯენით ხტომაში.

1974 წელს ბულგარეთის ქალაქ ვარნაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე გუნდურ ჩათვლაში დაიკავა მეორე ადგილი და მოიპოვა ვერცხლის მედალი.

1975 წელს მოიგო მსოფლიოს თასი ბჯენით ხტომებში. იმავე წელს გახდა ინგლისის ღია პირველობის აბსოლუტური ჩემპიონი.

სპორტული კარიერა დაასრულა 27 წლის ასაკში, 1979 წელს.

### 3.5. რუსუდან სიხარულიძე



დაიბადა ქალაქ ბათუმში 1954 წლის 19 აგვისტოს. ტანვარჯიშს პატარაობიდანვე ეზიარა.

პირველ შთამბეჭდავ წარმატებას 19 წლის ასაკში მიაღწია, როდესაც 1973 წელს ოქროს მედალი მოიგო სსრ კავშირის ჩემპიონატზე თავისუფალ ვარჯიშში. ეს შედეგი მან 1974 წელსაც გაიმეორა.

ყველაზე დიდ წარმატებას 1974 წელს ქალაქ ვარნაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე მიაღწია. სსრკ ნაკრებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

მასთან ერთად საბჭოთა გუნდში ჩვენი თანამემამულე **ნინა დრონოვაც** გამოდიოდა. მათ გარდა გუნდში იყვნენ მსოფლიოში აღიარებული ტანმოვარჯიშეები: **ლუდმილა ტურიშჩევა, ოლგა კორბუტი, ელვირა საადი და ნელი კიმი**. თავისუფალ ვარჯიშში რუსუდან სიხარულიძემ თანაგუნდელ ელვირა საადთან ერთად მესამე ადგილი გაიყო და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მრავალჭიდაში კი 36 ტანმოვარჯიშეს შორის მე-5 ადგილი დაიკავა.

1977 წელს დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტი.

1979-82 წლებში იყო ბათუმის ტანვარჯიშის სპორტული სკოლის დირექტორი.

1991 წელს არჩეულ იქნა საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად;

1992-1996 წლებში იყო საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი;

1996-2000 წლებში – აჭარის ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი;

1996-2003 წლებში – აჭარის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი;

2007-2010 წლებში მუშაობდა ამერიკის შეერთებული შტატებში, ჯორჯიის შტატის სპორტული კლუბის უფროს

მწვრთნელად.

2010-2012 წლებში საქართველოს ტანვარჯიშის სახელობათა ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი.

2012 წლიდან დღემდე – პირველი ვიცე-პრეზიდენტი.

2022 წლის 23 დეკემბერს, ბათუმში მუხრან ვახტანგაძის სახელობის სპორტის სასახლის წინ საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქალაქების, ბათუმისა და ჩიკაგოს საპატიო მოქალაქის, სპორტის რაინდის, **რუსუდან სიხარულიძის ვარსკვლავი გაიხსნა.**

### 3.6. ნინა დრონოვა



დაიბადა 1958 წლის 13 იანვარს, თბილისში.

ის XX საუკუნის 70-იან წლებში, სსრ კავშირის ქალთა ტანვარჯიშის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი იყო, რომელიც რუსუდან სიხარულიძესთან ერთად, საბჭოთა და მსოფლიო ტანვარჯიშის ლიდერთა შორის იმყოფებოდა.

1981 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი.

მას საბჭოთა ტანვარჯიშის ყველაზე ნათელ და კაშკაშა ვარსკვლავად მიიჩნევდნენ. ნინა დრონოვამ ჯერ კიდევ 13 წლის ასაკში, 1971 წელს, იუნიორთა საკავშირო სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ მან ოთხივე დისციპლინა დიდი უპირატესობით მოიგო.

1972 წელს სსრ კავშირის ჩემპიონატზე, პირველად იასპარეზა უფროსების თანრიგში და 14 წლის ასაკში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ღერძზე. 1973 წელს ასევე ბრინჯაოს პრიზიორი გახდა თავისუფალ ვარჯიში.

1974 წლის 20-27 ოქტომბერს მსოფლიო ჩემპიონატს ბულგარეთის ქალაქ ვარნამ უმასპინძლა. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში 16 წლის დრონოვასთან ერთად მსოფლიო ტანვარჯიშის აღიარებული ოსტატები **ლუდმილა ტურიშჩევა, ოლგა კორბუტი, ელვირა საადი, ნელი კიმი და რუსუდან სიხარულიძე** იყვნენ, ოქროს მედლები მოიპოვა.

აღსანიშნავია რომ სსრ კავშირის ქალთა გუნდმა 384.200 ქულა მოაგროვა და მეორე ადგილზე გასულ გდრის ნაკრებს 8 ქულით აჯიბა.

ინდივიდუალურ ასპარეზობაზე თავისუფალ ვარჯიშში ნინა დრონოვა მეხუთე ადგილზე გავიდა, ხოლო მრავალჭიდში 76.125 ქულით 36 ტანმოვარჯიშეს შორის მე-7 ადგილი დაიკავა.



ის განსაკუთრებით ძლიერი დვირზე და თავისუფალ ვარჯიშში იყო. მსოფლიო ჩემპიონატზე მისმა გრაციოზულმა გამოსვლამ საყოველთაო მოწონება დაიმსახურა და სპეციალისტებმა მას „მსოფლიო ტანვარჯიშის ვარსკვლავი“ უწოდეს.

სამწუხაროდ, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, ახალგაზრდა უნიჭიერესი ტანმწვარჯიშე იძულებული გახდა აქტიური სპორტისთვის ნაადრევად დაენებებინა თავი.

ნინა დრონოვა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი და ღირსების ორდენის კავალერია.

### 3.7. ვლადიმერ გოგოლაძე

დაიბადა თბილისში 1966 წლის 18 აგვისტოს. სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ტანვარჯიშში მეცადინეობა რვა წლიდან დაიწყო, მისი მწვრთნელი არნოლდ კვეტენაძე იყო.

პირველი სერიოზული შეჯიბრება მოსწავლეთა საკავშირო პირველობა იყო, სადაც მან მრავალჭიბში მე-5 ადგილი დაიკავა. სწორედ ამ ასპარეზობის შემდეგ, სსრ კავშირის მოზარდა ნაკრების უფროსმა



მწვრთნელმა ბორის მიხეევმა, ქართველი ტანმოვარჯიშე თავის გუნდში მიიწვია.

1984 წელს მსოფლიო ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ორი ოქროს (თავისუფალი ვარჯიში და ღერძი) და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვა (მრავალჭიდში). 1985 წელს სსრკ ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა მრავალჭიდში. იმავე წელს ევროპის პირველობაზე ბრინჯაოს მედლები მოიგო ორძელზე ვარჯიშსა და მრავალჭიდში.

1986 წელს სსრკ ხალხთა სპარტაკიადაზე ოქროს (ორძელზე), ვერცხლისა (მრავალჭიდში) და ორი ბრინჯაოს მედალი (მრავალჭიდსა და გუნდურში) მოიპოვა.

1988 და 1989 წლებში სსრ კავშირის პირველობაზე გახდა ვერცხლის მედლების მფლობელი (მრავალჭიდში). **ვლადიმერ გოგოლაძემ მსოფლიოში პირველმა შეასრულა სამმაგი მალაყი.**

**1988 წელს სეულის ზაფხულის 24-ე ოლიმპიურ თამაშებზე მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედალი (გუნდურში).**

სეულის ოლიმპიადისათვის ნაკრების შემადგენლობაში ექვსიდან ხუთის ვინაობა ცნობილი იყო. მეექვსე ტანმოვარჯიშის ვინაობა ვლადიმერ გოგოლაძესა და ვალენტინ მოგილნის შორის უნდა გაეკეთებინათ. მოსკოველი ტანმოვარჯიშე შედარებით გამოცდილი და ტიტულოვანი იყო (მსოფლიო ჩემპიონი და მსოფლიო თასის მფლობელი). გოგოლაძის კოლექციაში კი ევროპის

ჩემპიონატზე მრავალჭიდში მოპოვებული ბრინჯაოს ერთად-ერთი მედალი იყო. საბოლოოდ, ოლიმპიური ტურნირის დაწყებამდე ერთი დღით ადრე უფროსმა მწვრთნელმა, ლეონიდ არკაევმა, გააკეთა არჩევანი და ნაკრების მეექვსე წევრად ვლადიმერ გოგოლაძე დაასახელა.

ვლადიმერ გოგოლაძე, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი, ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების ქ. ჩიკაგოს მახლობლად ცხოვრობს და მოზარდ ტანმოვარჯიშეებს გადასცემს თავის უდიდეს გამოცდილებას.

2018 წლის 22 მაისს დაჯილდოვდა ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენით.

### 3.8. ილია გიორგაძე



ილია გიორგაძე

დაიბადა 1978 წლის 12 იანვარს ქუთაისში.

სპორტულ ტანვარჯიშში მეცადინეობა 6 წლის ასაკში დაიწყო **გურამ ჯინჭარაძის** ხელმძღვანელობით.

როგორც პერსპექტიული ახალგაზრდა 1987 წლიდან თბილისში გადმოიყვანეს და მწვრთნელის **ნიკოლოზ**

**ჭანტურიას** ზედამხედველობით იმალლებდა ოსტატობას.

პირველ დიდ წარმატებას 1989 წელს საბჭოთა კავშირის მოსწავლეთა სპარტაკიადაზე მიაღწია, სადაც მან საერთო ჯამში 4 მედალი მოიპოვა. ოქროს მედლები მოიგო ღერძზე და ორძელზე ვარჯიშში, ვერცხლის მედალოსანი გახდა თავისუფალი ვარჯიშში და ბრინჯაოს მედალოსანი ხტომებში.

1993 წელს ევროპის ახალგაზრდულ პირველობაზე ორძელზე მე-6 ადგილი დაიკავა. მსგავს შედეგს მიაღწია ამავე იარაღზე 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე.

2000 წლის სიდნეის ოლიმპიადაზე ილია გიორგაძემ ღერძზე ვარჯიშში მეექვსე ადგილი დაიკავა.

1995 წელს იმარჯვა დსთ-ის ქვეყნების ახალგაზრდულ პირველობაზე.

1996 წელს ამერიკის ღია ჩემპიონატზე ბრინჯაოს პრიზიორი გახდა მრავალჭიდში.

1998 წელს მოსკოვის საერთაშორისო ტურნირზე („მსოფლიოს ვარსკვლავები“) ერთი ოქროს, ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

2000 წელს სტამბოლში, შავი ზღვის აუზის ქვეყნების ღია ჩემპიონატზე, რომელიც ბოსფორის თასის სახელით არის ცნობილი, 3 ოქროს და 1 ბრინჯაოს მედალი მოიგო.

ილია გიორგაძე ერთადერთი ქართველი ტანმოვარჯიშეა რომელმაც ზედიზედ ოთხჯერ იაპარეზა ოლიმპიურ თამაშებზე. ის მონაწილეობდა ატლანტის (1996), სიდნეის (2000), ათენისა (2004) და პეკინის (2008) ოლიმპიურ თამაშებზე.

პეკინის ოლიმპიადის შემდეგ ილია აქტიურ სპორტს ჩამოშორდა. მოსკოვში, სადაც თავად ვარჯიშობდა, „დინამოს“ კლუბში მწვრთნელად დაიწყო მუშაობა. ამავე წელს წარმატებით გაიარა ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის მსაჯთა მომზადების კურსები და მოიპოვა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის ტიტული.

2009 წლიდან უდიდეს საერთაშორისო ტურნირებში მსაჯობს საქართველოს სახელით. 2011 წლიდან დღემდე მან ევროპის ექვსი და მსოფლიოს სამი ჩემპიონატი იმსაჯა.

2022 წელს, გერმანიის ქალაქ მიუნხენში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე სპორტულ ტანვარჯიშში, ილია გიორგაძე დაჯილდოვდა საპატიო მსაჯის დიპლომით.

### 3.9. საქართველოს ტანმოვარჯიშეების შედეგები საერთაშორისო ასპარეზზე

**ოლიპიურ თამაშებზე მოიპოვეს 3 მედალი**  
(2- ოქრო; 1- ვერცხლი;)

**ოქროს მედლები:**

1. მზია ჯუღელი - 1952 წელს ჰელსინკი;
2. ვლადიმერ გოგოლაძე - 1988 წელს სეული

**ვერცხლის მედალი:**

## 1. მზია ჯუღელი - 1952 წელს ჰელსინკი

**მსოფლიო ჩემპიონატებზე მოიპოვეს 8 მედალი**  
(4-ოქრო; 2-ვერცხლი; 2-ბრინჯაო)

### **ოქროს მედლები:**

1. გალინა შარაბიძე - 1954;
2. სერგო ჯაიანი - 1954;
3. ნინა დრონოვა - 1974;
4. რუსუდან სიხარულიძე - 1974.

### **ვერცხლის მედლები:**

1. გალინა შარაბიძე - 1954;
2. პაატა შამუგია - 1974;

### **ბრინჯაოს მედლები:**

1. სერგო ჯაიანი - 1954;
2. რუსუდან სიხარულიძე - 1974.

**ევროპის ჩემპიონატებზე მოპოვებულია**  
**2 - ბრინჯაოს მედალი**

### **ბრინჯაოს მედალი:**

1. ვლადიმერ გოგოლაძე - 1985-2.



## თავი IV. მხატვრული ტანვარჯიში



**ოლიმპიური თამაშების პროგრამაში** პირველად 1984 წლის ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაზე შეიტანეს.

**მსოფლიო ჩემპიონატები** 1963 წლიდან იწყება, მასპინძელი უნგრეთის ქალაქი ბუდაპეშტი იყო.

**ევროპის ჩემპიონატები** 1978 წლიდან იმართება. პირველი ჩემპიონატი ესპანეთის ქალაქ მადრიდში ჩატარდა.

მხატვრული ტანვარჯიში აერთიანებს სპორტული ტანვარჯიშის, აკრობატიკისა და ქორეოგრაფიის ელემენტებს, საგნით და უსაგნოდ ვარჯიშთა კომპლექსს. შეჯიბრებები ტარდება ვარჯიშებში - რგოლით, ბურთით, გურზით, ლენითა და სახტუნაოთი.

სპორტის ეს სახეობა შედარებით გვიან ჩამოყალიბდა. მისი ფორმირების მნიშვნელოვანი პერიოდი XX საუკუნის პირველ ნახევარზე მოდის და ცნობილი ფრანგი პედაგოგის **ფრანსუა დელსარტის** სახელს უკავშირდება.



მხატვრული ტანვარჯიშის ესთეტიკის ფორმირებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ჟენევის კონსერვატორიის პედაგოგს **ემილ ჟაკ დალკროზს**. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სპორტსმენებში მუსიკალურობისა და რიტმის გრძნობის განვითარებას, მოძრაობისა და მუსიკის ჰარმონიულ შერწყმას. დელკროზმა ჩამოაყალიბა „რიტმული ტანვარჯიშის“ საფუძვლები, 1911 წელს კი დრეზდენთან ახლოს, ჰელარაუში, რიტმის ინსტიტუტი გახსნა.

მხატვრული ტანვარჯიშის საერთაშორისო ისტორია 60-იანი წლებიდან იწყება. 1963 წელს ბუდაპეშტში მოეწყო პირველი ოფიციალური საერთაშორისო ტურნირი. 1964 წელს რომში გამართულ FIG-ის სხდომაზე ბუდაპეშტის ტურნირს I მსოფლიო ჩემპიონატის სტატუსი მიენიჭა.

მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან ევროპელებთან ერთად შეჯიბრებებში აქტიურად ჩაებნენ ავსტრალიის, ბრაზილიის, მექსიკის, ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის და იაპონიის სპორტსმენები.

1980 წელს სოკ-ის 83-ე სესიამ მხატვრული ტანვარჯიში ოლიმპიურ სახეობად აღიარა და ლოს-ანჯელესის 1984 წლის ოლიმპიადის პროგრამაში შეიტანა. პირველი აბსოლუტური ოლიმპიური ჩემპიონის სახელი მოიპოვა კანადელმა ლორი ფანგმა. ატლანტის 1996 წლის ოლიმპიადის პროგრამაში პირველად შეიტანეს გუნდური ვარჯიში, რომელშიც ესპანელებმა გაიმარჯვეს.

## 4.1. მხატვრული ტანვარჯიში საქართველოში

თბილისში ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში არსებობდა რიტმული პლასტიკის სტუდია, რომლის ბაზაზეც 1924 წელს შეიქმნა რიტმის ინსტიტუტი. აქ უპირატესობას ანიჭებდნენ სცენური ქესტის ცნობილი ფრანგი თეორეტიკოსისა და პრაქტიკოსის, ფრანსუა დელსარტის იდეებს, ვის სახელსაც უკავშირდება ტერმინი „ესთეტიკური ტანვარჯიში“.

მხატვრული ტანვარჯიში სპორტული მიმართულებით 1940-იანი წლების მიწურულს განვითარდა. 1948 წელს მოეწყო საკავშირო დათვალიერება – კონკურსი. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში გაიხსნა მხატვრული ტანვარჯიშის ორი ჯგუფი. ლენინგრადიდან მოიწვიეს ცნობილი ტანმოვარჯიშე და მწვრთნელი იულია შიმკარიოვა, რომელმაც შეადგინა და დანერგა ორიგინალური ვარჯიშები.

საქართველოს ტანმოვარჯიშეები საკავშირო შეჯიბრებებში 1950 წლიდან ჩაებნენ, მაგრამ პირველი მნიშვნელოვანი გამარჯვებები 1970-იან წლებში მოიპოვეს, როცა ნაკრებს სათავეში ჩაუდგა შემდგომში საყოველთაოდ აღიარებული და სახელოვანი მწვრთნელი **ნელი სალაძე**. მან შექმნა მხატვრული ტანვარჯიშის ქართული სკოლა, რომელმაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.

1979 წელს ლონდონში, **ირინე გაბაშვილი და ლალი**

**დოლიძე** საბჭოთა გუნდთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ. იმავე ჩემპიონატში გაბაშვილმა ბურთით ვარჯიში მოიგო, მრავალჭიდში კი III ადგილი დაიკავა. დიდ სარბიელზე წარმატებით გამოდიოდნენ აგრეთვე **ინგა ყიფშიძე, ელისო ბედოშვილი, ირინა ჟემჩუჟინა, მაია ნადიბაიძე, მარინა ხალილოვა, თათია დონაძე, იზო მთავრიშვილი, ვიქტორია დარბაიძე, მაია მორბედაძე, ეკა აბრამია, ინგა თავდიშვილი** და სხვები.

პირველად ქართული სპორტისა და მხატვრული ტანვარჯიშის ისტორიაში ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვა და ატლანტის 1996 წლის ოლიმპიურ თამაშებზე იასპარეზა **ეკა აბრამიამ** და 25-ე ადგილი დაიკავა, მომდევნო ოლიპიადზე, 2000 წელს სიდნეიში, **ინგა თავდიშვილმა** 21-ე ადგილზე გავიდა.

**სალომე ფაჟავა** 2016 წელს რიოს ოლიმპიურ თამაშებზე XIV ადგილზე გავიდა, 2021 წლის ტოკიოს ოლიმპიადაზე კი მე-17 იყო.



## 4.2. ნელი სალაძე



დაიბადა 1939 წლის 12 დეკემბერს თბილისში.

1961-1962 წლებში ორჯერ გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი ჯგუფურ ვარჯიშში. 1964 წელს კი გაიმარჯვა სსრ კავშირის უნივერსიადაზე.

1971 წლიდან, სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ მუშაობა დაიწყო მწვრთნელად.

17 წელი (1976-1993 წლებში) იყო საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი. პარალელურად 1977-1982 წლებში იყო სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელთა შტაბის წევრი.

1999-2002 წლებში ავარჯიშებდა, ბელგიისა და იაპონიის კლუბების სპორტსმენებს.

ნელი სალაძის აღზრდილები არიან: მსოფლიო ჩემპიონები: ირინე გაბაშვილი და ლალი დოლიძე, საერთაშორისო ასპარეზზე ცნობილი ტანმოვარჯიშეები: ირინა ჟემჩუჟინა, მაია ნადიბაიძე, ირმა ყიფშიძე, ელისო ბედოშვილი;

ნელი სალაძე შეყვანილია საქართველოს საუკეთესო მწვრთნელთა ათეულში; სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით.

### 4.3. ირინე გაბაშვილი

მე-20 საუკუნის 70-80-იან წლებში საკმაოდ შთამბეჭდავი იყო ქართველი მხატვრული ტან-მოვარჯიშეების წარმატებები სხვადასხვა დონის საერთაშორისო შეჯიბრებებზე და ეს მიღწევები უშუალოდ არის დაკავშირებული საქართველოს და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ნელი სალაძის



სახელთან, რომელმაც მრავალ მხატვრულ ტანმოვარჯიშეს გაუკაფა გზა დიდი სარბიელისკენ. მათ შორის გამორჩეული იყო ირინე გაბაშვილი.

ირინე გაბაშვილი დაიბადა 1960 წლის 15 აგვისტოს ქ. თბილისში. 1982 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

11 წლის იყო პატარა ირინე, როდესაც სრულიად შემთხვევით ანაგის ქუჩაზე მდებარე კინოთეატში მასთან ერთი ქალბატონი მივიდა და ვინაობა გამოკითხა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს ნელი სალაძე ყოფილა, რომელმაც სიამოვნებით გაგვიზიარა ირინე გაბაშვილთან პირველი შეხვედრის ამბავი.

„აქტიურ სპორტთან განშორების შემდეგ 1971 წლიდან უნივერსიტეტის სასპორტო დარბაზში ვავარჯიშებდი მოზარდებს, ქუჩაშიც კი შეგირდებს ვეძებდი. ერთხელ

კინოთეატრის ფოიეში პატარა გოგონამ მიიპყრო ჩემი ყურადღება. განსაკუთრებით ხელებმა მომხიბლა. მისვლა მინდოდა, მაგრამ გაიქცა და გაქრა. გადავაქოთე ყველა ოთახი, ბოლოს კინოსაპროექციო ოთახში ვიპოვე – თურმე მისი მეზობელი მუშაობდა იქ და მეგობარ გოგონასთან ერთად წამოუყვანია ახალი ფილმის საყურებლად. აბა, მანსს ხელიდან როგორ გავუშვებდი. ასე გავიცანი თერთმეტი წლის ირინე გაბაშვილი, რომლის სახელიც მერე მსოფლიოს მხატვრული ტანვარჯიშის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა“.

ირინე გაბაშვილმა, 1979 წელს ორი ოქროს მედალი მოიგო სსრ კავშირის ჩემპიონატზე, იმავე წელს კი გახდა სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ჩემპიონი.

1979 წელს, ლონდონში მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ბურთით ვარჯიშში და მესამე პრიზიორი გახდა მრავალჭიდში.

ამ გამარჯვებით **ირინე გაბაშვილი გახდა ქართული სპორტის ისტორიაში მსოფლიოს პირველი ჩემპიონი მხატვრულ ტანვარჯიშში**. იმავე წელს მიენიჭა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება.

სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ, 1993-1999 წლებში, წვრთნიდა მალაიზიის ტანმოვარჯიშეთა ნაკრებს, რომელმაც 1998 წელს თანამეგობრობის თამაშებზე ოქროს მედალი მოიგო.

2000 წლიდან გადავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ორეგონის შტატის ქალაქ პორტლენდში, ვესტსაიდის ცეკვისა და ტანვარჯიშის აკადემიაში 2009 წლამდე მწვრთნელად მუშაობდა.

გარდაიცვალა 48 წლის ასაკში, 2009 წლის 23 მარტს.

## 4.4. ლალი დოლიძე



დაიბადა ქ. ოზურგეთში, 1958 წლის 25 სექტემბერს. პატარაობიდანვე მხატვრული ტანვარჯიში აირჩია და არც შემცდარა. სპორტის ამ სახეობაში მან არაერთ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. არის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. 1980 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1985 წელს საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი.

1979 წელს, ლონდონში, მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ჯგუფურ და გუნდურ ვარჯიშში და მესამე პრიზიორი გახდა მრავალჭიდში.

სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ 1992 წლიდან ავარჯიშებდა იტალიელ სპორტსმენებს და საკმოდ წარმატებულადაც. მისი აღზრდილია იტალიის მრავალგზის ჩემპიონი ლაურა ძაკილი.

1997 წელს იტალიის ტანვარჯიშის ფედერაციამ ლალი დოლიძე აღიარა წლის საუკეთესო მწვრთნელად.

1978 წელს ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციამ წლის ათ საუკეთესო მწვრთნელს შორის დაასახელა.

სამწუხაროა, რომ მასზე საუბარი უკვე წარსულში გვიწევს. ლალი დოლიძე გარდაიცვალა 47 წლის ასაკში, 2005 წელს, იტალიის ქალაქ ფანოში

## 4.5. ელისო ბედოშვილი

მე-20 საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების ქართული მხატვრული ტანვარჯიშის ღირსეული წარმომადგენელი. ქართული სპორტის ისტორიაში ევროპის პირველი ჩემპიონი მხატვრულ ტანვარჯიშში, დაიბადა ქ. თბილისში 1971 წლის 11 ნოემბერს.



1994 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი.

სხვადასხვა დროს გაიმარჯვა შვეიცარიის, გერმანიის, სამხრეთ კორეისა და იუგოსლავიის საერთაშორისო ტურნირებში.

მის კარიერაში 1990 წელი იყო განსაკუთრებულად წარმატებული, როდესაც ჯერ ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში, ჯგუფურ ვარჯიშში, მსოფლიო თასის სამგზის მფლობელი გახდა. შემდეგ ევროპის ჩემპიონატზე, 1990 წლის 1-4 ნოემბერს შვეციის ქალაქ გეტებორგში სამივე სინჯის მედალი მოიპოვა ჯგუფურ ვარჯიშში. არის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

2018 წელს ელისო ბედოშვილი დასახელებულ იქნა საქართველოს წლის საუკეთესო მსაჯად.



## 4.6. სალომე ფაჟავა



დაიბადა 1997 წლის 3 სექტემბერს მოსკოვში. მხატვრულ ტანვარჯიშს 7 წლის ასაკიდან ეზიარა.

2019 წელს დაამთავრა სპორტის უნივერსიტეტი.

პირველ დიდ წარმატებას 15 წლის ასაკში მიაღწია, როდესაც 2012 წელს აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში, ევროპის ჩემპიონატზე, ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ლენტით

ვარჯიშში და გახდა პირველი მხატვრული ტანმოვარჯიშე დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ვინც კონტინენტურ შეჯიბრებაზე მედალი მოიგო.

2015 წელს რუსეთის ქალაქ ყაზანში და 2016 წელს გერმანიის დედაქალაქ ბერლინში გამართულ მსოფლიო თასზე მოიპოვა ბრინჯაოს მედლები.

სალომე ფაჟავა პირველი ქართველი მხატვრული ტანმოვარჯიშეა რომელმაც ზედიზედ ორ ოლიმპიურ თამაშებზე იასპარეზა (2016 წელს რიოში და 2020 წელს ტოკიოში).

ტოკიოს ოლიმპიური თამაშების შემდეგ სალომე ფაჟავამ დაასრულა სპორტული კარიერა.

2020 წელს აირჩიეს საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის ვიცე პრეზიდენტად.

## 4.7. მხატვრულ ტანმოვარჯიშეების შედეგები საერთაშორისო ასპარეზზე

**მსოფლიო ჩემპიონატებზე** მოიპოვეს - 3 მედალი (2  
- ოქრო, 1 - ბრინჯაო).

**ოქროს მედლები:**

1. ირინე გაბაშვილი - 1979;
2. დალი დოლიძე - 1979.

**ბრინჯაოს მედალი:**

1. ირინე გაბაშვილი - 1979;

**ევროპის ჩემპიონატებზე** მოიპოვეს – 5 მედალი (1 -  
ოქრო, 3 - ვერცხლი, 1- ბრინჯაო).

**ოქროს მედალი:**

1. ელისო ბედოშვილი - 1990;

**ვერცხლის მედლები:**

1. ელისო ბედოშვილი - 1990;
2. ირინა ჟემჩუჟინა - 1980;
3. ირმა ყიფშიძე - 1986;

**ბრინჯაოს მედალი:**

1. ელისო ბედოშვილი - 1990;

## თავი V. ბატუტზე ხტომა



ზოგადად ბატუტზე ხტომის შემქმნელებად ჩრდილოეთ კანადის მკვიდრ ხალხს – **ინუიტებს** მიიჩნევენ. ისინი გაზაფხულზე ვეშაპებზე ნადირობის დაწყებას ლომვეშაპის ტყავისგან დამზადებულ ბატუტზე ცეკვით საზეიმოდ აღნიშნავდნენ.

თანამედროვე ბატუტზე ხტომის ფუძემდებლად კი ამერიკელ ტანმოვარჯიშე **ჯორჯ ნისენს** მიიჩნევენ, რომელმაც 1928 წელს დაამზადა პირველი ბატუტი. თავად ჯორჯ ნისენი იყო ამერიკის ჩემპიონი წყალში ხტომასა და აკრობატიკაში.

ნისენმა თავის ქმნილებას ერთგვარი სახტუნაო დაფის ესპანური შესატყვისი სახელი – trampoline უწოდა.

1948 წელს ჩატარდა ამერიკის შეერთებული შტატების პირველი ჩემპიონატი ბატუტზე ხტომაში. ეს სახეობა ისეთი პოპულარული გახდა, რომ ის შეიტანეს პანამერიკული თამაშების პროგრამაში.

ევროპაშიც ამ პერიოდიდან იწყება ბატუტზე ხტომის გავრცელება, რომელიც პირველად წარადგინა შვეიცარიელმა **კურტ ბეხლერმა**. მას გამოუჩნდნენ მიმდევრები ევროპის სხვა ქვეყნებშიც. ამ მხრივ ყველაზე აქტიური ბრიტანელი **ტედ ბლეიკი** იყო.

შოტლანდია გახდა პირველი ქვეყანა ევროპაში სადაც 1958 წელს დაფუძნდა ბატუტზე ხტომის საკუთარი ნაციონალური ფედერაცია.

1960 წელს შეიქმნა შეჯიბრების წესების პირველი ვარიანტი და მეთოდური სახელმძღვანელო. იმავე წელს გაიმართა პირველი საერთაშორისო შეხვედრა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს შორის.

ბატუტის საერთაშორისო ფედერაცია დაარსდა 1964 წელს გერმანიის ქალაქ მაინის ფრანკფურტში. პირველ პრეზიდენტად არჩეულ იქნა შვეიცარელი **რენე შარე**.

1964 წლის 21 მარტს ლონდონში ჩატარდა მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი ბატუტზე ხტომაში, სადაც ჩემპიონის ტიტულები **ამერიკლებმა ჯუდი ვილსმა და დენ მილმანმა მოიპოვეს**.

1985 წელს ბატუტზე ხტომა შეტანილი იქნა ლონდონის მსოფლიო თამაშების პროგრამაში, 1988 წელს კი

ბატუტის საერთაშორისო ფედერაცია ოფიციალურად აღიარა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა.

1999 წელს ბატუტზე ხტომის საერთაშორისო ფედერაცია ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციას შეუერთდა.

ბატუტზე ხტომა **ოლიმპიური თამაშების პროგრამაში** პირველად 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადაზე შეიტანეს და მას შემდეგ ყველა თამაშებზეა.

**მსოფლიო ჩემპიონატები** 1964 წლიდან **იმართება, ევროპის ჩემპიონატები** კი 1969 წლიდან იღებს სათავეს და ტარდება ორ წელიწადში ერთხელ.



## 5.1. ბატუტზე ხტომა საქართველოში

საქართველოში ბატუტზე ხტომა XX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულიდან გავრცელდა და თითქმის ასწლოვანი ისტორია აქვს. ბატუტისტებისთვის პირველი სპორტული იარაღი **გიორგი ეგნატაშვილის** დავალებით დაამზადა **პავლე აბაშკინმა**, რომელსაც გიორგის ვაჟი, **ირაკლი ეგნატაშვილი** ეხმარებოდა.

პირველი საცდელი ვარჯიშები თბილისში, კონსტიტუციის ქუჩაზე მდებარე სპორტულ დარბაზში მოეწყო, მერე კი ბატუტისტებმა მუშთაიდის ბაღში გადაინაცვლეს. მოგვიანებით, უკვე 50-იან წლებში, სპორტის ეს ახალი სახეობა დაინერგა თბილისის სპორტულ სკოლებში, ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ცხინვალში, რუსთავში. ბატუტს, როგორც დამხმარე საწვრთნელ საშუალებას, იყენებდნენ წყალში მხტომელები, ტანმოვარჯიშეები, პარაშუტისტები.

ჩვენს ქვეყანაში ბატუტზე ხტომის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელებს **ოთარ კაკიაშვილს** და **თენგიზ ხუდოევს**. ბატუტისტების პირველი პროფესიული ჯგუფი თენგიზ ხუდოევმა ჩამოაყალიბა თბილისში 1969 წელს.

საქართველოს ჩემპიონატები 1970 წლიდან იმართება. საქართველოს ნაკრების პირველი უფროსი მწვრთნელი **ოთარ კაკიაშვილი** იყო.

ქართველთაგან პირველ დიდ წარმატებას **ფატი ფირანიშვილმა** მიაღწია, როცა ევროპის 1980 წლის იუნიორთა პირველობაზე ვერცხლის მედალი მოიგო. მომდევნო წლებში უფრო სერიოზულ წარმატებებს აღწევენ **რუსუდან ხოფერია, ანა დოლონაძე და ზაქარია აბრამაშვილი**. ისინი მსოფლიო და ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები გახდნენ, ხოლო გერმანიის სახელით მოასპარეზე, საქართველოს სპორტის აკადემიის კურსდამთავრებულმა **ანა დოლონაძემ** 2004 წლის ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა.

1985 წლიდან მსოფლიო არენაზე დომინირებდა რუსუდან ხოფერია, რომელმაც 1988 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე 3 ოქროს მედალი მოიპოვა ინდივიდუალურ ვარჯიშში, სინქრონულ ხტომებსა და გუნდური შეჯიბრებაში. სიდნეის 2000 წლის ბატუტისტთა სადებიუტო ოლიმპიურ ტურნირზე კი VII ადგილი დაიკავა.

ბოლო წლებში გამორჩეულია ლუბა გოლოვინას შედეგები, რომელმაც ევროპისა და მსოფლიოს ახალგაზრდულ პირველობებში გაიმარჯვა, ხოლო მეორე ევროპულ თამაშებზე ვერცხლის მედალი მოიპოვა.

2022 წლის 2 ივლისს იტალიის ქალაქ რიმინიში მიმდინარე ბატუტზე მხტომელთა ევროპის იუნიორთა 28-ე ჩემპიონატზე ანა ლაპიაშვილმა და მანა ბოჭორიძემ ოქროს მედლები მოიპოვეს.

დიდებაში კი ჩვენმა ოთხეულმა – ლუბა გოლოვინამ, ანანო აფაქიძემ, თეონა ჯანჯღავამ და სოფიო დაშნიანმა, გუნდურ პირველობაში, ევროპის ჩემპიონატის ისტორიული ვერცხლის მედლები მოიპოვეს.

იტალიის ქალაქ რიმინიში მსოფლიო თასის გათამაშებაზე, ანანო აფაქიძემ და თეონა ჯანჯღავამ ქალთა შორის სინქრონულ ხტომებში ოქროს მედლები მოიგეს. ანანო აფაქიძე კი ბრინჯაოს მედალს დაეუფლა ინდივიდუალურ ხტომებში.

აღსანიშნავია ბულგარეთის საკურორტო ქალაქ ვარნაში ჩატარებული ბატუტზე მხტომელთა 2023 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებაზე, ევროპის ვიცე ჩემპიონმა საქართველოს ქალთა ნაკრებმა სრული შემადგენლობით იასპარეზა. წყვილებში ბრინჯაოს მედალი ერგოთ – ანანო აფაქიძეს და თეონა ჯანჯღავას, ინდივიდუალურ ხტომებში ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის მეორე პრიზიორი გახდა მარიამ რაგიმოვი (2023 წელს მან პირველად მოსინჯა ძალები უფროსებში). ინდივიდუალურ ხტომებში საქართველოს ნაკრების სამი წევრი ნახევარფინალში მოხვდა: გუნდის ლიდერმა, სამი ოლიმპიადის ფინალისტმა ლუბა გოლოვინამ საბოლოოდ 54.060 ქულით მე-11 ადგილი დაიკავა და 20 სარეიტინგო ქულა დაიმსახურა. სინქრონულ ხტომებში იასპარეზეს ანანო აფაქიძემ და მარიამ რაგიმოვამ და კვალიფიკაციის (46.730 ქულა) შემდეგ მე-8 ადგილით შევიდნენ ფინალში,



სადაც წარმატებით იასპარეზეს, რთული ვარჯიში შეასრულეს, დაიმსახურეს 47.900 ქულა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა ქართველი ბატუტისტებისათვის 2024 წელი. აუცილებლად უნდა გამოვყოთ აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში ჩატარებული მსოფლიო თასის გათამაშება, სადაც საქართველოს წარმომადგენლები – მარიამ რაგიმოვა და ანანო აფაქიძე 47,530 ქულით სინქრონულ წყვილთა შორის ფინალში გავიდნენ და მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს. ჩვენს წყვილს მხოლოდ ამეიკელებმა და ჩინელებმა გაუსწრეს.

აღსანიშნავია, რომ ამ შეჯიბრებაზე ქართველმა და ამერიკელმა სპორტსმენებმა ყველაზე რთული ვარჯიში (13.1 სირთულის კოეფიციენტი) შეასრულეს.

ქართველი ბატუტისტების წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვით საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელებს: ზ. სულაშვილს, თ. ხუდოევს, თ. ცომაიას, ვ. ჩხაბერიძეს, ვ. კლიმოვას, ლ. ხრიკულს, გ. გასპარიანს, რ. გამხოშვილს, ნ. არღანაშვილს.

## 5.2. რუსუდან ხოფერია

ქართული სპორტის ისტორიაში მსოფლიოს პირველი ჩემპიონი ბატუტზე ხტომაში



დაიბადა 1972 წლის 9 სექტემბერს თბილისში. სპორტულ ოჯახში გაიზარდა. მამა ფეხბურთელი იყო, უფროსი და კი სპორტული ტანმოვარჯიშე. მისი პირველი მწვრთნელი იყო თენგიზ ხუდოევი.

რუსუდან ხოფერიამ ერთ წელიწადში ურთულესი ილეთები აითვისა და უკვე 13 წლის ასაკში სენსაციურად გაიმარჯვა 1985 წლის სსრკ-ს ხალხთა სპარტაკიადაზე. მიუხედავად ამისა, მაშინდელმა საბჭოთა ფუნქციონერებმა 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე არ წაიყვანეს იმ მოტივით, რომ ძალიან პატარა ასაკის იყო.

1988 წელს ინგლისის ქ. ბირმინგემში 15 წლის რუსუდან ხოფერიამ ფურორი მოახდინა, სამი ოქროს მედალი მოიპოვა ინდივიდუალურ, გუნდურ და სინქრონულ ასპარეზობაში.

1993 და 1999 წლებში მოიგო მსოფლიო თასი.

1987 წელს პორტუგალიის ქალაქ ბრაგაში, 1989 წელს დანიის ქალაქ კოპენჰაგენში და 1997 წელს ნიდერლანდების ქალაქ ეინდჰოვენში, ევროპის ჩემპიონატებზე

ოთხი ოქროს, ხუთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ქართველ სპორტსმენს 17 წლის მანძილზე (1987-2004) ეკუთვნოდა ვარჯიშის სირთულის მსოფლიო რეკორდი. რუსუდან ხოფერია სიდნეის (2000 წ. მე-7 ადგილი) და ათენის (2004 წ. მე-9 ადგილი) ოლიმპიური თამაშების მონაწილეა.

1993 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი.

რუსუდან ხოფერია არის საქართველოს ტანვარჯიშის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი. 2016 წლიდან მსაჯობს ოლიმპიურ თამაშებზე.

2020 წელს სარეიტინგო ქულების მიხედვით რუსუდან ხოფერია მსოფლიოს საუკეთესო მსაჯთა სამეულში მოხვდა. ხოლო მომდევნო წლებში სამჯერ აღიარეს მსოფლიო ჩემპიონატების საუკეთესო მსაჯად.

რუსუდან ხოფერია პარიზის 2024 წლის ოლიმპიურ თამაშებზეც ბატუტზე ხტომის მსაჯებს შორის საუკეთესოდ აღიარეს.

დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით. 2014 წელს მინიჭა სპორტის რაინდის წოდება.

### 5.3. ზაქარია (სოსო) აბრამაშვილი

დაიბადა 1972 წლის 9 იანვარს ქალაქ რუსთავში. სპორტს ადრეულ ასაკში ეზიარა.

1990 წელს, 18 წლის სოსო აბრამაშვილმა ევროპის ჩემპიონატზე სამი ოქროს მედალი მოიპოვა, ის უძლიერესი იყო ინდივიდუალურ ასპარეზობაზე, დუეტში და გუნდურ შეჯიბრებაში.



1990 წლის 11-13 ოქტომბერს, გერმანიის ქალაქ ესენში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე, ინდივიდუალურ ასპარეზობაზე, ზაქარიამ VIII ადგილი დაიკავა. სსრკ ნაკრების წევრებთან **ალექსანდრ მოსკალენკოსთან, ალექსანდრ დანილჩენკოსთან და დმიტრი პოლიარუშთან** ერთად კი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

ზაქარია აბრამაშვილი ქართული სპორტის ისტორიაში პირველი კაცი ბატუტისტია, რომელიც ატარებს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს.

1999 წელს, დამოუკიდებელი საქართველოს სახელით გახდა მსოფლიოს თასის გათამაშების ფინალისტი.

## 5.4. ანა დოლონაძე

### პირველი ქართველი ბატუტიისტი ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი



დაიბადა 1973 წლის 15 თებერვალს ქალაქ მცხეთაში. 1994 წელს დაამთავრა საქართველოს სპორტის აკადემია. არის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

1988-1990 წლებში ორჯერ გახდა ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის.

1989 წელს დანიის ქალაქ კოპენჰაგენში, ევროპის ჩემპიონატზე, გუნდურ ასპარეზობაზე, ოქროს მედალი მოიპოვა.

1993 წელს რუსუდან ხოფერიასთან ერთად ვერცხლის, ხოლო 1997 წელს ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა სინქრონში.

1990 წელს გერმანიის ქალაქ ესენში, გუნდურ ასპარეზობაზე, მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

1997 წელს დააჯილდოვეს ღირსების ორდენით.

მას შემდეგ, როდესაც ის გათხოვდა გერმანიის მოქალაქეზე, მიიღო გერმანიის მოქალაქეობა, 1998 წლიდან ასპარეზობს ამ ქვეყნის სახელით.

1998-2011 წლებში, ანა დოლონაძემ მსოფლიო ჩემპიონატებზე მოიგო სამი ოქროს, სამი ვერცხლისა და ხუთი ბრინჯაოს მედალი.

2001 წელს იაპონიის ქალაქ აკიტაში, მსოფლიო მეექვსე თამაშებზე, მოიპოვა ოქროს მედალი სინქრონში.

ყველაზე დიდ წარმატებას ანა დოლონაძემ მიაღწია 2004 წელს ათენის 28-ე ოლიმპიურ თამაშებზე.

ათენის თამაშებზე ანა დოლონაძე ასპარეზობდა როგორც მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, მაგრამ მას რატომღაც ფავორიტად არავინ მიიჩნევდა. ამბობდნენ, რომ მან კატასროფულად ჩააგდო 2000 წლის სიდნეის ოლიმპიური თამაშები და ათენში ყველაზე ასაკოვანია ბატუტზე მოხტუნავეებს შორისო (31 წლის).

პირველ რიგში უპირატესობას მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს რუს **ირინა კარავაევას**, კანადელ **კარენ კოკბერნს** და ჩინელ **იუან შანშანს** ანიჭებდნენ.

მაგრამ ანა დოლონაძემ ყველა განაცვიფრა თავისი ელეგანტური ხტომებით და დამსახურებულად მოიპოვა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ტიტული. ფავორიტად მიჩნეული კარავაევა პრიზიორთა სამეულშიც ვერ მოხვდა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ანა დოლონაძემ კიდევ ორ ოლიმპიადაზე იასპარეზა, 2008 წელს პეკინში (35 წლის) და 2012 წელს ლონდონში (39 წლის).

ანა დოლონაძე ამჟამად ცხოვრობს გერმანიაში, პროფესიით მასწავლებელია. ჰყავს ერთი ქალიშვილი.

## 5.5. ლუბა გოლოვინა

დაიბადა 1990 წლის 20 აპრილს თბილისში. დედამისმა ის სამი წლის ასაკში მიიყვანა ტანვარჯიშის სექციაში. მისი პირველი მწვრთნელი ვალენტინა კლიმოვა იყო. ლუბას მშობლები, ვლადიმერი და ლუდმილა, ტანმოვარჯიშეები იყვნენ. მოგვიანებით სწორედ მშობლები გახდნენ მისი პირადი მწვრთნელები.



ლუბა გოლოვინა

სპორტულ არენაზე მისი დებიუტი 1994 წელს შედგა, სადაც 4 წლის ლუბამ პირველი ადგილი დაიკავა. 5 წლის ასაკში კი მოსკოვის ღია პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავა.

2005 წელს იუნიორთა შორის ლუბა უკვე მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს იგებს, 2006 კი ევროპის ჩემპიონი ხდება.

მართალია, მომდევნო წელს, უკვე მოზრდილებში, მსოფლიო ჩემპიონატზე დაიკავა მე-20 ადგილი და ვერ მოხვდა ფინალში, მაგრამ ეს შედეგი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის რომ 2008 წლის მან პეკინის ოლიმპიური თამაშების საგზური მოეპოვებინა.

პეკინში, 18 წლის ლუბამ საკვალიფიკაციო ტურნირში ბევრ გამოჩენილ მეტოქეს აჯობა და ფინალურ ეტაპზე

მეხუთე შედეგით გავიდა, სადაც მას ბრინჯაოს მედალამდე მხოლოდ ერთი ქულა აშორებდა. თუმცა ფინალში ვერ გაუძლო კონკურენციას და საბოლოოდ მეექვსე ადგილს დასჯერდა.

ლუბა გოლოვინა ერთადერთი ბატუტზე მხტომელი ქალია ჩვენს ქვეყანაში, რომელმაც ზედიზედ ოთხ ოლიმპიურ თამაშებზე იასპარეზა (2008 წ. პეკინი - VI ადგილი; 2012 წ. ლონდონი - VII ადგილი; 2016 წ. რიო დე ჟანეირო - VII ადგილი; 2024 წ. პარიზი - XI ადგილი).

პარიზში 16 საუკეთესო ბატუტზე მხტომელი ქალი ეჯიბრებოდა ერთმანეთს ფინალურ რვა საუკეთესოში მოსახვედრად. მათ შორის იყო 34 წლის ლუბა გოლოვინა.

საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ ცდაზე მან 53.620, მეორეზე კი - 53.460 ქულა დაიმსახურა, რაც მხოლოდ მე-11 ადგილისთვის იყო და ამით ოლიმპიადაზე გამოსვლა დაასრულა.

ლუბა გოლოვინას, თავისი ხანგრძლივი სპორტული კარიერის მანძილზე ასევე მოპოვებული აქვს:

2004 წელს ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის ვერცხლის მედალი, 2006 წელს კი ბრინჯაოს მედალი.

2019 წელს ბელორუსის დედაქალაქ მინსკში გამართულ ევროპის მეორე თამაშებზე ვერცხლის მედალი.

2022 წელს იტალიის ქალაქ რიმინიში, ევროპის ჩემპიონატზე, ვერცხლის მედალი.

2024 წელს პორტუგალიის ქალაქ გიმარაეშში, საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ვერცხლის მედალი.



## 4.6. საქართველოს ბატუტისტების შედეგები საერთაშორისო ასპარეზზე

**მსოფლიო ჩემპიონატებზე** მოიპოვეს 6 მედალი  
(5-ოქრო;1- ვერცხლი).

**ოქროს მედლები:**

1. რუსუდან ხოფერია - 1988 - 3;
2. ანა დოლონაძე - 1990;
3. ზაქარია აბრამაშვილი - 1990.

**ვერცხლის მედალი:**

1. რუსუდან ხოფერია - 1990;

**ევროპის ჩემპიონატებზე** მოიპოვეს - 21 მედალი (12  
- ოქრო; 8 -ვერცხლი;1 - ბრინჯაო;)

**ოქროს მედლები:**

1. რუსუდან ხოფერია - 1987, 1989-2, 1995;
2. ანა დოლონაძე - 1989, 1990-3, 1997;
3. ზაქარია აბრამაშვილი - 1990-3;

**ვერცხლის მედლები:**

1. რუსუდან ხოფერია - 1987-2, 1993-2; 1995;
2. ანა დოლონაძე - 1993-2, 1995;

**ბრინჯაოს მედალი**

1. რუსუდან ხოფერია - 1987;

## თავი VI. სპორტული აკრობატიკა



აკრობატიკას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. აკრობატის ფიგურა გამოსახულია ინდოეთისა და ნიგერიის უძველესი სასახლეების კედლებზე. როგორც ამტკიცებენ სპორტის ეს სახეობა ცნობილი იყო ძველ ეგვიპტეში 2300 წელს ჩვენსწელთაღრიცხვამე.

ძველი რომისა და საბერძნეთის ხალხურ დღესასწაულებში აკრობატიკა გასართობ სანახაობას წარმოადგენდა. აკრობატებზე მოგვითხრობს დიადი ჰომეროსი თავის გენიალურ „ოდისეაში“, სადაც ერთ-ერთ სიმღერაში აღწერს, რომ დღესასწაულის მონაწილეებს ართობდა ორი მოხტუნავე.

ძველ რომში აკრომატულ ვარჯიშებს უჩვენებდნენ მოხეტიალე მსახიობები – „ცილკულატორები“, რომლებიც აკრომატული ვარჯიშების გარდა წარმოადგენდნენ ხელოვნების სხვა სახეობებსაც (გაჭიმულ თოკზე სიარულს, ცხოველების გაწვრთნას და სხვა).

აღორძინების ეპოქის ვენეციაში აწყობდნენ კონკურსებს ე.წ. „ცოცხალ არქიტექტურაში“ – აკრომატული პირამიდის აშენებაში. აკრომატების იმ ჯგუფს, რომელიც „ააშენებდა“ ყველაზე მაღალ პირამიდას, სენატი აჯილდოვებდა განსაკუთრებული პრიზით. არის ცნობა იმის შესახებ, რომ ერთ-ერთი პირამიდის სიმაღლე აღწევდა 9 მეტრს.

თანამედროვე აკრომატიკის ისტორია მე-18 საუკუნის ბოლოდან იღებს სათავეს. ევროპის სხვადასხვა ქალაქების ცირკებში გამოჩნდა აკრომატული ვარჯიშები, რომლებიც სწრაფად იქცა პროფესიონალური ცირკის სპექტაკლების განუყოფელ ნაწილად. მე-19 საუკუნეში დაიწყო აკრომატული ვარჯიშების ჩართვა ტანვარჯიშის ეროვნულ სისტემებში.

სპორტული აკრომატიკის განვითარება მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო და მას შემდეგ დიდი გზა გაიარა. თანდათან გაფართოვდა მისი გავრცელების ტერიტორია და საბოლოოდ დამოუკიდებელი სტატუსი შეიძინა. დაიწყო მისი აღიარება საერთაშორისო დონეზე, რამაც ხელი შეუწყო სპეციალიზებული ფედერაციების

შექმნას და მრავალი საერთაშორისო ტურნირის პროგრამებში ჩართვას.

სპორტულ აკრობატიკაში პირველი საერთაშორისო შეჯიბრება ჩატარდა 1957 წელს ვარშავაში. ტურნირში მონაწილეობა ოთხმა გუნდმა მიიღო.

1973 წელს დაარსდა აკრობატიკის საერთაშორისო ფედერაცია, ხოლო ერთი წლის შემდეგ მოსკოვში ჩატარდა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი ბულგარეთის, დიდი ბრიტანეთის, უნგრეთის, პოლონეთის, სსრკ-ს, აშშ-სა და გერმანიის გუნდების მონაწილეობით. 1998 წელს აკრობატიკის საერთაშორისო ფედერაცია დაიშალა და იგი ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის შემადგენლობაში შევიდა.

ოლიმპიურ თამაშებზე, აკრობატიკა გამოჩნდა ლოს-ანჯელესის 1932 წლის მე-10 ოლიმპიურ თამაშებზე, როგორც საჩვენებელი სახეობა. მოგვიანებით, როგორც ცალკე სპორტის სახეობა, ის კვლავ გამოჩნდა 1996 წლის ატლანტისა და 2000 წლის სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე, მაგრამ კვლავ, როგორც საჩვენებელი სპორტის სახეობა. მიუხედავად ამისა, სპორტული აკრობატიკა ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეტანა ჯერ არ მომხდარა.

როგორც ცნობილია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, (ოლიმპიური ქარტიის შესაბამისად) მოითხოვს, რომ ყოველი ახალი სპორტის სახეობა უნდა აკმა-

ყოფილებდეს გარკვეულ კრიტერიუმებს (ფართო საერთაშორისო პოპულარობა, ორგანიზებული შეჯიბრებების არსებობა და ანტიდოპინგური პოლიტიკის დაცვა).

1999 წელს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ აკრობატიკა, როგორც სპორტის სახეობა, აღიარებული იქნა. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო, მაგრამ მის სრულ აღიარებამდე ეტყობა, ჯერ კიდევ რამდენიმე ეტაპია გასავლელი. ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაცია აქტიურად მუშაობს აკრობატული ტანვარჯიშის პოპულარიზაციისა და ოლიმპიურ დონეზე ასვლაზე, ასევე თანამშრომლობს სხვა სპორტულ ფედერაციებთან ყურადღებისა და მხარდაჭერის მიქცევისთვის.

**დღეისათვის ტარდება მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები.**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ **მსოფლიო ჩემპიონატები** 1974 წლიდან იწყება.

**ევროპის ჩემპიონატები** კი სათავეს იღებს 1978 წლიდან.

**ამჟამად, საერთაშორისო წესების შესაბამისად, სპორტულ აკრობატიკაში შეჯიბრებები იმართება ხუთ სახეობაში:**

- ქალთა წყვილები;
- კაცების წყვილები;
- შერეული წყვილები;
- ქალთა ჯგუფები (სამეულები);
- კაცთა ჯგუფები (ოთხეულები).

## 6.1. აკრობატიკა საქართველოში

აკრობატიკა, ანუ „მუშაითობა“ საქართველოში ოდითგანვე იყო გავრცელებული, როგორც ხალხური ფიზიკური ხელოვნება და ბავშვთა ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთი მიმართულება. მუშაითობის განსაკუთრებული აღმავლობა XI-XII საუკუნეებში შეიმჩნეოდა. სახალხო დღესასწაულებზე, ლხინში თუ სხვა თავყრილობებზე ხშირად ეწყობოდა მუშაითების ანუ ჯამბაზებისა და საბელზე მოსიარულეთა გამოსვლები. „ვეფხისტყაოსანში“ მუშაითობა მოხსენიებულია, როგორც აღზრდის სისტემის შემადგენელი ნაწილი და როგორც პროფესია.

ჩვენს ქვეყანაში სპორტული აკრობატიკის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს ტანვარჯიშის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა **გიორგი ეგნატაშვილმა**, პირველმა ქართველმა აკრობატმა **კოწო ბადრიძემ**, **კონსტანტინე და პავლე გრომოვებმა**. კოწო ბადრიძემ, შემდგომში, საფუძველი ჩაუყარა წყვილთა და ჯგუფურ ვარჯიშებს.

1934 წელს **კონსტანტინე გრომოვა** განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ სპორტულ სკოლაში ჩამოაყალიბა აკრობატიკის სასწავლო ჯგუფი.

მომდევნო წელს გიორგი ეგნატაშვილის თაოსნობით ასეთივე ჯგუფი შეიქმნა თბილისის ფიზკულტურის ტექნიკუმში, სადაც ჩამოაყალიბდა აკრობატთა პირველი გუნდი. მას როსტოველი **პაველ აზაშკინი** ავარჯიშებდა.

1937 წელს, მოსკოვში გამართულ აღლუმზე, საქართველოს აკრობატმა ვაჟებმა – **მიხეილ ქელეხსაშვილმა**,

კარლო ვართანოვმა, რუდოლფ ემილიანოვმა და თეიმურაზ მაყაშვილმა დიდი მოწონება დაიმსახურეს. ამ ოთხეულმა ოქროს მედლები მოიპოვა 1939 წელს მოსკოვში გამართულ საბჭოთა კავშირის პირველ ჩემპიონატზე. ეს წარმატება ჩვენმა ოთხეულმა მომდევნო წელსაც გაიმეორა და თბილისში ჩატარებულ საკავშირო ჩემპიონატზეც ოქროს მედლები მოიპოვა.

ომის შემდგომ წარმატებით გამოდიოდნენ მიხეილ ქელეხსაშვილი, გურამ გარსევანიშვილი, ირაკლი მახაშვილი, ვალენტინ კოჩერგინი, შალვა ძამაშვილი, თენგიზ ლომთაძე და სხვები.

1980-იანი წლებიდან, ჩვენი აკრობატები წარმატებით გამოდიან ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე. 1980 წელს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ქართველ ქალთა სამეულმა ნანა კვიციანიშვილის, მანანა მნათობიშვილისა და მაია შილაკაძის შემადგენლობით (მწვრთნელი – ვლადიმერ გურგენიძე).

80-იან წლებში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში და თასის გათამაშებაში არაერთხელ გაიმარჯვეს და პრიზიორები გახდნენ - სვეტლანა მკრტჩიანი, ნატალია ანისიმოვა, ინგა გიორგობიანი, სვეტლანა მაკარიჩევა, ირინა ოვოიანი, ვილი ვართანოვი, იოსებ თუთბერიძე, სტანისლავ პეტროვი, რამაზ ბუზიაშვილი, ლიუდმილა გლაზუნოვა.

დიდი საერთაშორისო შეჯიბრებების პრიზიორები გახდნენ ნინო ბერიანიძე, ინგა დემურიშვილი, ფატი

სულაქველიძე, ინგა ჩოხელი, დიმიტრი გაგომვილი, ზურაბ ნიკოლაიშვილი, ილია პაპომვილი, დიმიტრი კარტოზია და სხვები.

სსრკავშირის ჩემპიონები და პრიზიორები გახდნენ: ნინო ბერიანიძე, ირმა დემურიშვილი, ფატი სულაქველიძე, ინგა ჩოხელი, დავით გოგომვილი, ზურაბ ნიკოლაიშვილი, რამაზ ბუზიაშვილი, ილია პაპომვილი, დიმიტრი კარტოზია, ემზარ აბუაშვილი, ვაჟა არაყიშვილი, ნიკოლოზ მჭედლიძე, მარინე შადაშვილი და სხვები.

საქართველოში აკრობატიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს გიორგი ჭილაიამ, ვლადიმერ ალთუნაშვილმა, ოთარ კაკიაშვილმა, თენგიზ ბოლქვაძემ, ვლადიმერ გურგენიძემ, გურამ მარგიშვილმა, მიხეილ გეგელიამ, თამაზ ბუზიაშვილმა, ალიკ მელოიანმა, ალექსანდრე მავრანგელოვმა, ანატოლი სლივკოვმა, ჯუმბერ ლაშმა, ნუგზარ ძუკაევმა, თეიმურაზ ცაბაძემ.





## 6.2. ქართული სპორტის ისტორიაში მსოფლიოსა და ევროპის პირველი ჩემპიონები აკრობატიკაში

### 6.2.1. მანანა მნათობიშვილი



დაიბადა 1962 წლის 11 ივნისს თბილისში. 1984 წელს დაამთავრა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი; პედაგოგიკის აკადემიური დოქტორი; საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი; 1979, 1980, 1981 წლებში სამჯერ

მოიგო სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტული. სამჯერ იმარჯვა სსრ კავშირის თასის გათამაშებაში.

1980 წელს პოლონეთის ქალაქ პოზნანში გახდა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი, ხოლო ინდივიდუალურ ვარჯიშებში ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები.

იმავე წელს ევროპის ჩემპიონატზე მოიპოვა აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული, ხოლო ინდივიდუალურ ვარჯიშებში ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორი გახდა.

1979 და 1981 წლებში მსოფლიო თასის გათამაშებაზე ვერცხლის მედლები მოიპოვა. ყველა შეჯიბრებებზე გამოდიოდა სამეულში ნანა კიკილაშვილთან და მაია შილაკაძესთან ერთად.

## 6.2.2. მაია შილაკაძე

დაიბადა 1965 წლის 17 თებერვალს თბილისში. 1987 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

1979, 1980 და 1981 სამჯერ მოიგო სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტული, ხოლო 1980, 1981 და 1982 წლებში იმარჯვა სსრ კავშირის თასის გათამაშებაში.



მაია შილაკაძე

1980 წელს პოლონეთის ქალაქ პოზნანში მოიპოვა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ოქროს მედალი, ხოლო ინდივიდუალურ ვარჯიშებში ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები.

იმავე 1980 წელს პოლონეთის ქალაქ პოზნანში იასპარეზა ევროპის ჩემპიონატზე და მოიპოვა აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული, ხოლო ინდივიდუალურ ვარჯიშებში ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორი გახდა.

1979 და 1981 წლებში მსოფლიო თასის გათამაშებაზე ვერცხლის მედლები მოიპოვა. ყველა შეჯიბრებებზე გამოდიოდა სამეულში ნანა კიკილაშვილთან და მანანა მნათობიშვილთან ერთად.

### 6.2.3. ნანა კიკილაშვილი



ნანა კიკილაშვილი

დაიბადა 1962 წლის 12 აგვისტოს თბილისში.

1985 წელს დაამთავრა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

1979, 1980 და 1981 სამჯერ მოიგო სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტული. სამჯერ იმარჯვა სსრ კავშირის თასის გათამაშებაში.

1980 წელს პოლონეთის ქალაქ პოზნანში მოიპოვა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ოქროს მედალი, ხოლო ინდივიდუალურ ვარჯიშებში ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები.

იმავე 1980 წელს პოლონეთის ქალაქ პოზნანში იასპარეზა ევროპის ჩემპიონატზე და მოიპოვა აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული, ხოლო ინდივიდუალურ ვარჯიშებში ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორი გახდა.

1979 და 1981 წლებში მსოფლიო თასის გათამაშებაზე ვერცხლის მედლები მოიპოვა. ყველა შეჯიბრებებზე გამოდიოდა სამეულში მანანა მნათობიშვილთან და მათ შილაკაძესთან ერთად.

## 6.2.4. ვლადიმერ გურგენიძე



დაიბადა 1957 წლის 31 აპრილს თბილისში. 18 წლის ასაკში, 1975 წელს ახალგაზრდებს შორის სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა. ადრეულ ასაკში დაიწყო სამწვრთნელო საქმიანობა და მთელი ცხოვრება ამ საქმეს მიუძღვნა.

სსრკ სპორტის ისტორიაში ის იყო ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელი ქართველთაგან, რომელსაც 22 წლის ასაკში, მიენიჭა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება. 1975 წლიდან 1990 წლამდე იყო საქართველოს და სსრკ-ს ნაკრების მთავარი მწვრთნელი.

მისი აღზრდილები არიან მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები: მანანა მნათობიშვილი, ნანა კივილაშვილი, ნატალია ანისიმოვა, ინგა გიორგობიანი, მაია შილაკაძე, ირინა ოვოიანი, სვეტლანა მკრტიჩიანი, სვეტლამა მაკარიჩევა და ლიუდმილა გლაზუნოვა.

1992 წლიდან მოღვაწეობა რუსეთში გააგრძელა. 2006 წლიდან გარდაცვალებამდე იყო რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის ტიტულები მოაპოვებინა ამ ქვეყნის სახელით მოასპარეზე არაერთ სპორტსმენს, მათ შორისაა მისი ვაჟი რევაზ გურგენიძე.

## 6.2.5. საქართველოს აკრობატების შედეგები საერთაშორისო ასპარეზზე

მსოფლიო ჩემპიონატებზე სსრ კ-ს სახელით მოიპოვეს - 24  
მედალი (18 - ოქრო, 6 - ვერცხლი)

### ოქროს მედლები:

1. ნანა კიკალიშვილი - 1980;
2. მანანა მნათობიშვილი - 1980;
3. მაია შილაკაძე - 1980;
4. ლუდმილა გლაზუნოვა - 1982;
5. სვეტლანა მკრტიჩიან-ფეიქრიშვილი - 1982;
6. ნატალია ანისიმოვა - 1988 – 3,1990;
7. ინგა გიორგობიანი - 1988 -4, 1990;
8. სვეტლანა მაკარიჩევა - 1988 - 3.

### ვერცხლის მედლები

1. ნატალია ანისიმოვა - 1990-3
2. ინგა გიორგობიანი 1990
3. გია მარმარაშვილი - 1985;
4. ირინა ოვოიანი - 1990.

ევროპის ჩემპიონატებზე მოიპოვეს - 34 მედალი  
(19 - ოქრო, 10 - ვერცხლი, 5 - ბრინჯაო):

### ოქროს მედლები:

1. მანანა მნათობიშვილი - 1980;
2. ნანა კიკალიშვილი - 1980
3. მაია შილაკაძე - 1980;
4. ნატალია ანისიმოვა - 1988-3; 1990;

5. ინგა გიორგობიანი - 1988 - 4;
6. სვეტლანა მაკარიჩევა - 1988-3;

**ვერცხლის მედალი:**

1. ნატალია ანისიმოვა - 1990 -3;
2. ინგა გიორგობიანი - 1990-6;
3. ირინა ოვოიანი - 1990.



**დამოუკიდებელი საქართველოს  
სახელით  
10 მედალი (5-ოქროს, 5-ბრინჯაოს)**

**ოქროს მედლები:**

1. ემზარ აბუაშვილი - 1993;
2. დიმიტრი კარტოზია - 1993;
3. ვაჟა არაყიშვილი - 1993;
4. ილია პაპოშვილი - 1993;
5. გია ხეთაგური - 1993.

**ბრინჯაოს მედალი:**

1. ემზარ აბუაშვილი - 1994;
2. რამაზ ბუზიაშვილი - 1994;
3. დიმიტრი კარტოზია - 1994;
4. ილია პაპოშვილი - 1994;
5. გია ხეთაგური - 1993.

## თავი VII. სპორტული აერობიკა



სპორტული აერობიკა ტანვარჯიშის ხუთი სახეობიდან ერთ-ერთია (მხატვრულ და რიტმულ ტანვარჯიშთან, აკრობატიკასთან და ბატუტთან ერთად) აღიარებული ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის (FIG) მიერ.

სიტყვა „აერობიკა“ მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან შემოვიდა ხმარებაში, მის ავტორად კი ამერიკელ ექიმს – **კენეტ კუპერს** მიიჩნევენ. მან 1963 წელს გამოსცა წიგნი „აერობიკა“, რომელშიც აღწერილია აერობული ვარჯიშების ზემოქმედების კვლევების შედეგები ადამიანის სხეულზე. ამ წიგნით შეიტყო მსოფლიომ გარკვეული ფიზიკური აქტივობების (სიარული, სირბილი, ცურვა, საციგურაო სპორტი და თხილამურები) სარგებლობის შესახებ, რომელიც ასტიმულირებს ადამიანის გულ-სისხლძარღვთა და რესპირატორულ სისტემებს. იქვე კუპერმა აღნიშნა ამერიკელი მოცეკვავე **ჯეკი სორენსენის**

დიდი წვლილი აერობიკის საცეკვაო მიმართულებით განვითარების საქმეში.



აერობიკის შემდგომი განვითარების საქმეში განსაკუთრებული როლი ითამაშა ცნობილმა ამერიკელმა კინოვარსკვლავმა და ტელეწამყვანმა **ჯეინ ფონდამ**, რომელმაც საგრძნობლად გაამდიდრა საცეკვაო აერობიკა. მან გაკვეთილების სახით შექმნა ვარჯიშების საცეკვაო კომპლექსები მუსიკის თანხლებით.

1979 წელს ფონდამ, ბევრლი ხილზში, გახსნა მსოფლიოში აერობიკის პირველი სტუდია. უნდა აღინიშნოს აერობიკის დიდი პოპულარობა მე-20 საუკუნის 80-იან წლებში, თითქმის მთელი მსოფლიო (განსაკუთრებით ქალები) დაკავდა ჯეინ ფონდას საცეკვაო აერობიკით.

1981 წელს ჯეინ ფონდამ გამოაქვეყნა ილუსტრირებული წიგნი აერობიკაზე, რომელიც ძალიან პოპულარული გახდა და უმოკლეს დროში თითქმის 2 მილიონი ეგზემპლარი გაიყიდა.

მოგვიანებით, 1980-იანი წლების შუა პერიოდიდან დაიწყო აერობიკის კონკურსები და ფესტივალები შეერ-



თებულ შტატებში, შემდეგ კი ევროპაში, აზიასა და ლათინურ ამერიკაში. შედგომი წლებიდან უკვე იწყება ოფიციალური შეჯიბრებების ჩატარება.

სპორტული აერობიკა – როგორც ტანვარჯიშის ერთ-ერთი სახეობა, 1995 წლიდან გაერთიანდა ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის (FIG) შემადგენლობაში და მისი პატრონაჟით დაიწყო შეჯიბრებების წესებისა და რეგულაციების შემუშავება, ძირითადი საერთაშორისო ტურნირების ორგანიზება, მწვრთნელების და სპეციალისტების მომზადება, სპორტული აერობიკის პოპულარიზაცია თანამედროვე მედიის გამოყენებით.

დღეს, ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციაში შემავალი სპორტის სახეობებიდან, სპორტული აერობიკა მეორე ადგილზეა მონაწილე ქვეყნების რაოდენობით (მხატვრული ტანვარჯიშის შემდეგ) და მის რიგებში გაერთიანებულია 70 ქვეყანა.

სპორტული აერობიკა არის რთული და ემოციური სპორტი, რომელშიც სპორტსმენები მაღალი ინტენსივობით ასრულებენ სავარჯიშოების კომპლექს მუსიკის თანხლებით. ვარჯიშები გრძელდება ერთიდან სამ წუთამდე (ასაკიდან გამომდინარე) 7x7 ან 10x10 მ ფართობზე ნებისმიერსაფარიან დარბაზში. სპორტულ აერობიკაში გამოიყენება ელემენტები სპორტული და მხატვრული ტანვარჯიშიდან და აკრობატიკიდან.

## შეჯიბრებები აერობიკაში ტარდება რამდენიმე კატეგორიაში;

- ინდივიდუალური ( მამაკაცები და ქალები);
- შერეული წყვილები;
- სამეულუები ;
- ჯგუფური;

პროგრამის შეფასებისას მსაჯები ითვალისწინებენ მოძრაობების ხელოვნებას, რომელიც აჩვენებს არა მხოლოდ ძალას, გამძლეობას, მოქნილობას, არამედ შესრულების მხატვრულობას და პროგრამის სირთულეს.

1990 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ სან დიეგოში გაიმართა მსოფლიოს პირველი არაოფიციალური ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს 16 ქვეყნის სპორტსმენებმა.

FIG-ის ხელმძღვანელობით და პატრონაჟით, მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი ჩატარდა 1995 წელს საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში და მას შემდეგ ტარდება ყოველწლიურად. 1999 წლიდან კი ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ტარდება ევროპის ჩემპიონატები. აერობიკაში ასევე იმართება მსოფლიო თამაშები, რომლებიც არაოლიმპიური სპორტის ოლიმპიური თამაშების ალტერნატივადა მიჩნეული და ტარდება ოთხ წელიწადში ერთხელ.

## თავი VIII. პარკური



ითვლება, რომ პარკური ყოველთვის არსებობდა, უბრალოდ ადრე ცოტა სხვაგვარად გამოიყურებოდა. დაბრკოლებების ოსტატურად გადალახვა პრეისტორიულ ხანაშიც არსებობდა.

თანამედროვე პარკური პარიზის მახლობლად 1980-იან წლებში გამოჩნდა. პარკურის კონცეფცია პირველად **დევიდ ბელმა** შემოიტანა, რომელიც საკუთარი მამის მაგალითებს დაეყრდნო.

**დევიდ ბელის მამა, რაიმონდი**, მსახურობდა საფრანგეთის შეიარაღებულ ძალებში. სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგ მეხანძრედ დაიწყო მუშაობა. მისი ფიზიკური შესაძლებლობები და უნარები არაერთხელ დაეხმარა მას ადამიანების გადარჩენაში იმ სიტუაციებში, როდესაც ტექნოლოგია უძლური იყო. ის სწრაფად გახდა ცნობილი, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მოქნილი და

ძლიერი მეხანძრე თავის პოლკში, ძალზე ადვილად ლახავდა ნებისმიერ დაბრკოლებას. შემდგომში ნებისმიერი ბუნებრივი დაბრკოლებების გადალახვაში ვარჯიშები სავალდებულო გახდა ფრაგი მეხანძრეებისათვის.

თინეიჯერობისას დევიდ ბელი და მისი მეგობრები სისტემატურად ხტებოდნენ კიბეებზე, მოაჯირებზე, კედლებსა და სხვა დაბრკოლებებზე. მათთვის ამ სახის ვარჯიშის მეთოდი წარმოადგენდა ბუნებრივ გარემოში ყველა სახის დაბრკოლების დაძლევის სურვილს. მოძრაობის ამ სტილმა დიდი პოპულარობა მოიპოვა მსოფლიო კინომატოგრაფიაში.

თავდაპირველად პარკური განვითარდა როგორც ვარჯიშის მეთოდი, მაგრამ დროთა განმავლობაში მან მოიპოვა მეტი პოპულარობა.

„პარკურები“ თავის თავს „ტრეისერებს“ უწოდებენ.

პარკურის მთავარი იდეა, რომელიც გამოთქვა დევიდ ბელმა, არის ის, რომ არ არსებობს საზღვრები, არსებობს მხოლოდ დაბრკოლებები და ნებისმიერი დაბრკოლების გადალახვა შესაძლებელია.

პარკური არ საჭიროებს რაიმე სპეციალური ხელსაწყოების გამოყენებას, გამოიყენება მხოლოდ საკუთარი სხეული და ქცევითი უნარები „აქ და ახლა“.

ხეები, კედლები, სახურავები, პარაპეტები და მოაჯირები ჩვეულებრივი დაბრკოლებებია ტრეისერისთვის.

პარკურის ვარჯიშისთვის ადამიანებს სჭირდება სხვადასხვა დისციპლინაში განვითარება. უპირველეს



ყოველისა, ტრეისერმა უნდა შეეცადოს შექმნას ჰარმონია სხეულსა და სულს შორის, შეაფასოს საკუთარი შესაძლებლობები და დაიწყოს შიშებთან ბრძოლა. კლდეზე ცოცვა ამის შესანიშნავი

საშუალებაა. ასევე, სულის აღზრდის კარგი საშუალებაა საბრძოლო ხელოვნება. მძლეოსნობა ხელს შეუწყობს მოძრაობის უნარების განვითარებას. პარკურში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სწორი კვებაც.

ბევრი ადამიანი პარკურს აღიქვამს, როგორც ცხოვრების წესს. ახლა პარკური აქტიურად გამოიყენება და განვითარებულია მსოფლიოში. დღეისათვის ბევრ ქვეყანაში გახსნილია კლუბები და მასში გაერთიანებულია მსურველების საკმაოდ დიდი რაოდენობა.

პარკურის დამფუძნებელს და მის მიმდევრებს მიაჩნდათ, რომ ეს არ არის სპორტი და არ ითვალისწინებს შეჯიბრებას და მოწინააღმდეგის დამარცხების სურვილს. პარკურის იდეოლოგია უარყოფდა ამ პრინციპებს, რადგან პარკური უცხოა „გამოჩენისა“ და კონკურენციის მიმართ. აქ შეჯიბრებები დასაშვებია მხოლოდ უნარების გასაუმჯობესებლად.

მაგრამ დროთა განმავლობაში, პოზიცია და მიდგომა

შეიცვალა. პარკურის შეღწევამ ფილმებში და მისმა პოპულარიზაციამ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ხელი შეუწყო სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების ორგანიზებას და ახალი თაობის პარკურის გაჩენას.

მიუხედავად იმისა, რომ პარკურის დამფუძნებლები არ ცდილობდნენ ამ სპორტში შეჯიბრებების გამართვას, მათ ეს ტენდენცია მიიჩნიეს კარგ გზად მისი შემდგომი პოპულარიზაციისთვის მსოფლიოში. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დღეს პარკური არის სპორტის სახეობა, რომელიც გულისხმობს დაბრკოლებების სწრაფად გადალახვას ნახტომების გამოყენებით. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ იგი შესულია ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის (FIG) შემადგენლობაში და მისი პატრონაჟით ტარდება სხვადასხვა სახის შეჯიბრებები.

FIG-ის მიერ გადაწყდა, რომ მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი ჩატარდებოდა იაპონიის ქალაქ ხიროსიმაში 2020 წლის 3-5 აპრილის, მაგრამ კოვიდპანდემიის გამო ის გადაიდო და ამ სახეობის **პირველ მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლა იაპონიის დედაქალაქმა ტოკიომ 2022 წლის 14-16 ოქტომბერს.**

მსოფლიოს 36 ქვეყნის ყველაზე მოქნილმა და უსწრაფესმა ტრეისერებმა, სპეციალურად აშენებულ ტრასაზე, შეასრულეს ურთულესი აკრობატული ტრიუკები ორ ძირითად დისციპლინაში: სისწრაფესა და თავისუფალ სტილში.

ვაჟთა შორის პირველი მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი თავისუფალ სტილში, **ბერძენმა დიმიტრიოს კირსანიდისმა** მოიპოვა.

**ჩინელი თენგ გაოჯიანი**-გი გახდა ვიცე ჩემპიონი. ბრინჯაო კი **იტალიელ დავიდე რიცის** ერგო.



ქალებში ჩემპიონის ოქროს მედალი მოიგო **მექსიკელმა ელა ბუჩიომ**, ვერცხლის მედალი **იაპონელმა იამამოტო ჰანაჰომ** მოიგო ბრინჯაოს მედალი კი **ჩეხ ადელა მერკოვას** ერგო.

სისწრაფეში მსოფლიო ჩემპიონის პირველი ტიტული მოიპოვა **შვედმა მირანდა ტიბლინგმა**. მეორე ადგილზე **ესპანელ სტეფანი ნავარო** გავიდა, მესამე ადგილი კი **ფრანგ ლილუ რუელს** ერგო.

კაცთა შორის **უკრაინელმა ბოგდან კოლმაკოვმა** გაიმარჯვა. მეორე ადგილზე **იტალიელი ანდრეა კონსოლინი** გავიდა, მსოფლიო რეიტინგის ლიდერი **ჰოლანდიელი ტანგი ვან შიგენმი** მესამე ადგილს დაჯერდა.



მსოფლიოს პირველი ჩემპიონი - მირანდა ტიბლინგი

## ლიტერატურა:

1. მ. გორგაძე. „ფიზიკური კულტურის ისტორია“. გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1965 წ.
2. შ. ახვლედიანი, ჯ. ზაგრატიონი, ნ. გუგუშვილი. „სპორტი საქართველოში“. თბილისი, 1981 წ.
3. ა. ციბაძე. „ფიზიკური კულტურისა და სპორტის ისტორია“. თბილისი, 1991 წ.
4. თ. სანებლიძე. ტანვარჯიში. თბილისი, 1992 წ;
5. გ. ძაგანია. „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორია“. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004 წ.
6. სპორტის ენციკლოპედია. მთ. რედაქტორი ე. ბერიშვილი. თბ, 2006 წ.
7. ე. ბერიშვილი. „ქართული სპორტის ოქროს წიგნი“. თბილისი, 2013 წ.
8. ჯ. კვანტალიანი. ტანვარჯიშის ისტორია. 2017 წ.
9. ე. ბერიშვილი. ქართული სპორტის ოქროს წიგნი. თბილისი, 2013 წ.
10. გ. ძაგანია. „ქართული სპორტის მატანე“. თბილისი, 2022 წ.
11. ქ. ქობალია. ტანვარჯიშის განვითარების ისტორიის მომხილვა [https://educationhouse.ge/storage/books/ტანვარჯიშისისტორია\\_1013.pdf](https://educationhouse.ge/storage/books/ტანვარჯიშისისტორია_1013.pdf)
12. მხატვრული ტანვარჯიში <http://sport.gov.ge/?pg=sporttypes&sportid=74>
13. სპორტული ტანვარჯიში [https://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/სპორტული\\_ტანვარჯიში](https://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/სპორტული_ტანვარჯიში)
14. აკრობატიკა <http://sport.gov.ge/index.php?pg=sporttypes&sportid=72>
15. Gymnastics. <https://en.wikipedia.org/wiki/Gymnastics>
16. Artistic gymnastics [https://en.wikipedia.org/wiki/Artistic\\_gymnastics](https://en.wikipedia.org/wiki/Artistic_gymnastics)
17. Аэробика <https://ru.wikipedia.org/wiki/Аэробика>
18. [https://ru.wikipedia.org/wiki/Спортивная\\_аэробика](https://ru.wikipedia.org/wiki/Спортивная_аэробика)
19. Паркур <https://ru.wikipedia.org/wiki/Паркур>
20. <https://en.wikipedia.org/wiki/Parkour>



გურამ ძაგანია დაიბადა 01.01.1941 წ. თბილისში. 1964 წელს დაამთავრა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი, 1976 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

1967 წლიდან მუშაობს საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში.

1980-92 წლებში იყო პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი, 1992-2005 წლებში – პრორექტორი სამეცნიერო დარგში.

1992 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

1987 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1999 წელს სადოქტორო დისერტაცია პედაგოგიკაში.

2013 წლიდან 2023 წლამდე – სპორტის უნივერსიტეტის რექტორი. 2023 წლიდან არის ვიცე რექტორი.

არის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული მუშაკი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ხელბურთში.

მინიჭებული აქვს სპორტის რაინდის წოდება, დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მედლით.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მეცნიერების განვითარების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე, 2023 წელს მიენიჭა ევროპის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საერთაშორისო ფედერაციის (FIEPS) ტულინის პრემია.

